პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო
КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 41-ე წელი
№ 51 (11964)
ოთხშაბათი, 1 მარტი, 1961 წ.
ფასი 2 კაპ.

მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის მე-40 წლისთავი

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მისალმება

მოსკოვი, 28 თებერვალი. (საქდესი). საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს გაუგზავნა მისალმება, რომელშიც გულთბილად ულოცავს მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, პარტიის ყველა წევრს და მთელ მონღოლ ხალხს მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის მეორმოცე წლისთავთან დაკავშირებით.

მისალმებაში აღნიშნულია, რომ მონღოლეთის სახალხო-რევოლუციურმა პარტიამ მარქსიზმ-ლენინიზმის დროშით ისტორიულად მოკლე ვადაში გამოიყვანა მონღოლეთი საუკუნეობრივი ეკონომიური და კულტურული ჩამორჩენილობიდან სოციალიზმის მშენებლობის ნათელ გზაზე. მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტია — მონღოლი ხალხის ძირეული ინტერესების ნამდვილი გამომხატველი — მტკიცედ არის დაკავშირებული მონღოლეთის მშრომელთა უფართოეს მასებთან, რომლებსაც იგი თავიანთ ნაცად ბელადად მიაჩნიათ. პროლეტარული ინტერნაციონალიზმის მარქსისტულ-ლენინური იდეების ერთგული მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტია ზრდის მონღოლ ხალხს საბჭოთა კავშირისა და ყველა სოციალისტური ქვეყნის ხალხებისადმი, მთელი მსოფლიოს მშრომელებისადმი ძმური მეგობრობის სულისკვეთებით.

მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტია, ნათქვამია მისალმებაში, გადაჭრით გამოდის თანამედროვე რევიზიონიზმის, აგრეთვე დოგმატიზმისა და სექტანტობის წინააღმდეგ ყველა მათი გამოვლინებით, ხელს უწყობს სოციალისტური ბანაკისა და მთელი საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ერთიანობის კიდევ უფრო განმტკიცებას.

აუმაღლოთ სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის დონე

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა

რუსეთის სფსრ არაშავნიადაგიანი ზონის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირზე

ქალაქ მოსკოვში 1961 წლის 23 თებერვალს

ძვირფასო ამხანაგებო!

აქ შეიკრიბნენ რუსეთის ფედერაციის არაშავნიადაგიანი ზონის ოლქებისა და ავტონომიური რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მოწინავეები და პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელი მუშაკები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დავალებით მხურვალე სალამს გადმოგცემთ თქვენ და თქვენი სახით ბრიანსკის, ვლადიმირის, გორკის, ივანოვოს, კალინინის, კალუგის, კიროვის, კოსტრომის, მოსკოვის, რიაზანის, სმოლენსკის, ტულისა და იაროსლავლის ოლქების, მარითისა და ჩუვაშეთის ავტონომიური რესპუბლიკების ყველა მშრომელს. **(მქუხარე ტაში).**

ნება მიბოძეთ აგრეთვე მხურვალედ მივესალმო უკრაინის, ბელორუსიის, ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის მოკავშირე რესპუბლიკების, არხანგელსკის, ვოლოგდის, კალინინგრადის, ლენინგრადის, მურმანსკის, ნოვგოროდისა და პსკოვის ოლქების, კარელიის, კომისა და მორდვეთის ავტონომიური რესპუბლიკების მშრომელებს, რომელთა წარმომადგენლები სტუმრებად ესწრებიან ამ თათბირს. **(მქუხარე ტაში).**

სულით და გულით გისურვებთ, ძვირფასო ამხანაგებო, დიდ წარმატებებს ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებაში, ჩვენი დიადი პარტიის XXII ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის გაჩაღებულ შეჯიბრებაში! **(მქუხარე ტაში).**

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების ზრდა მშრომელთა კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების გზაა

ამხანაგებო! რუსეთის ფედერაციის ევროპული ნაწილის ცენტრში მდებარე არაშავნიადაგიანი ზონის სოფლის მეურნეობას ისტორიულად ჩამოყალიბებული მიმართულება აქვს თავის განვითარებაში. ეს განისაზღვრება არა მარტო ბუნებრივ-კლიმატური, არამედ აგრეთვე ეკონომიური პირობებით, რამდენადაც აქ მდებარეობენ ჩვენი ქვეყნის დიდი ქალაქები და სამრეწველო ცენტრები. რუსეთის სფსრ არაშავნიადაგიანი ზონის აქ წარმოდგენილი ოლქებისა და ავტონომიური რესპუბლიკების მოსახლეობა 32 მილიონზე მეტ კაცს შეადგენს, მათგან ქალაქის მოსახლეობა 19 მილიონზე მეტი კაცია, ანუ მთელი მოსახლეობის დაახლოებით 60 პროცენტია. თქვენი რაიონების მრეწველობა აწარმოებს საბჭოთა კავშირის მთელი სამრეწველო პროდუქციის 23 პროცენტს.

ხორცით, რძით, კარაქით, კარტოფილით და ბოსტნეულით ქალაქის მოსახლეობის მომარაგების საჭიროება განსაზღვრავს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ხასიათს ცენტრალურ ოლქებში.

ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმზე მოყვანილი იყო მონაცემები რუსეთის ფედერაციასა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების ზრდის შესახებ. ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის შემდეგ განვლილ წლებში მიღწეულია მნიშვნელოვანი წარმატებანი.

უკანასკნელი შვიდი წლის მანძილზე თქვენს რაიონებშიც გადიდდა მეცხოველეობის პროდუქტების, კარტოფილისა და ბოსტნეულის წარმოება და სახელმწიფო შესყიდვა. მაგალითად, ხორცის შესყიდვა გაიზარდა სამჯერ და მეტად, რძისა — ორნახევარჯერ, კვერცხისა — 2,7-ჯერ; კარტოფილის შესყიდვა გაიზარდა 33 პროცენტით, ხოლო ბოსტნეულისა — 72 პროცენტით.

მაგრამ დაგვაკმაყოფილებს თუ არა ასეთი მაჩვენებლები და შეესაბამებიან თუ არა ისინი თქვენს შესაძლებლობებს და მოსახლეობის მზარდ მოთხოვნილებებს სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე?

რასაკვირველია, არა! ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმზე მკვეთრად იქნა გაკრიტიკებული ნაკლოვანებანი სოფლის მეურნეობის განვითარებაში, სამართლიანად აღინიშნა სერიოზული შეცდომები და სოფლის მეურნეობის ცუდი ხელმძღვანელობა თქვენი ზონის ბევრ ოლქსა და ავტონომიურ რესპუბლიკაში.

მართლაც, განა შეიძლება შევურიგდეთ ისეთ მდგომარეობას, რომ რუსეთის ფედერაცია—წამყვანი რესპუბლიკა, რომელსაც უმდიდრესი შესაძლებლობები აქვს სოფლის მეურნეობის ყველა დარგის წარმატებით განვითარებისათვის, საკმაოდ ვერ უზრუნველყოფს მოსახლეობის მზარდ მოთხოვნილებებს უმნიშვნელოვანეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე, განსაკუთრებით ხორცსა და რძეზე?

ჩვენს სოფლის მეურნეობას გარკვეული წარმატებები აქვს. მაგრამ არ შეიძლება, ამხანაგებო, შევჩერდეთ ახლანდელ დონეზე. რას ნიშნავს თუნდაც დროებით შევჩერდეთ მიღწეულზე? ეს ნიშნავს ჩამოვრჩეთ მოსახლეობის სწრაფად მზარდ მოთხოვნილებებს, მოსახლეობის ზრდას, მისი შემოსავლის გადიდებას.

ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმზე გამოსვლაში მოყვანილი იყო მონაცემები მოსახლეობის ზრდის შესახებ მთლიანად საბჭოთა კავშირში. ხოლო როგორ არის საქმე ცენტრის ოლქებსა და ავტონომიურ რესპუბლიკებში? ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მონაცემებით, რუსეთის სფსრ ცენტრის რაიონების მოსახლეობა უკანასკნელ შვიდ წელიწადში გაიზარდა 1 მილიონ 700 ათასზე მეტი კაცით, ამასთან ქალაქის მოსახლეობა გაიზარდა 2 მილიონ 900 ათასზე მეტი კაცით. სავსებით ბუნებრივია, რომ ქალაქის მოსახლეობის სწრაფი ზრდა და მშრომელთა შემოსავლის მნიშვნელოვანი გადიდება მოითხოვს სოფლის მეურნეობის პროდუქტების და უწინარეს ყოვლისა ხორცისა და რძის წარმოების მკვეთრად გადიდებას.

როგორ კმაყოფილდება მოსახლეობის მოთხოვნილებანი სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროდუქტებზე, რა წყაროებიდან ხორციელდება თქვენი ზონის ქალაქების მომარაგება?

აი მონაცემები სახელმწიფო შესყიდვის ოდენობაზე და იმაზე, თუ რამდენი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები დაიხარჯა ცენტრის ოლქებისა და ავტონომიური რესპუბლიკების ქალაქების მომარაგებისათვის 1960 წელს:

	შეისყიდა სახელმწიფომ ცენტრის რაიონებში	დაიხარჯა სახელმწიფო რესურსებიდან ცენტრის მოსახლეობის მომარაგებისათვის
ხორცი (დაკლული წონით ათას ტონობით)	558	929
რძე (ათას ტონობით)	3.358	5.360
კვერცხი (მილიონ ცალობით)	712	1.840
ბოსტნეული (ათას ტონობით)	756	808

ამ მონაცემებიდან ჩანს, რომ არაშავნიადაგიანი ზონის სოფლის მეურნეობა ქალაქების მოსახლეობის მოხმარების ახლანდელი დონის დაკმაყოფილებასაც ვერ უზრუნველყოფს ისეთ უმნიშვნელოვანეს პროდუქტებზე, როგორიც არის ხორცი, რძე, კვერცხი. უნდა აღინიშნოს, რომ მოთხოვნილებას ბოსტნეულზე მეტად თუ ნაკლებად სრულად უზრუნველყოფენ თქვენი ზონის მეურნეობები. რა თქმა უნდა, საადრეო ბოსტნეულის რაღაც რაოდენობა შემოდის და კვლავაც შემოვა უფრო სამხრეთი რაიონებიდან.

მაგრამ მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ ხორცით, რძითა და ზოგიერთი სხვა პროდუქტებით ქალაქების მომარაგების ახლანდელი დონე ვერ დაგვაკმაყოფილებს. საჭიროა უახლოეს დროში მნიშვნელოვნად გავაუმჯობესოთ ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრების მომარაგება, მივაღწიოთ იმას, რომ ეს პროდუქტები სავსებით საკმარისად იყოს. უნდა ვიზრუნოთ იმისათვის, რომ სავსებით საკმარისად ექნეს ეს პროდუქტები სოფლის მოსახლეობასაც.

დონე, რომელზეც წარმოებს მეურნეობა არაშავნიადაგიანი ზონის რაიონებში, არ შეესაბამება გადიდებულ მოთხოვნებს, რომლებსაც პარტია და ხალხი უყენებენ სოფლის მეურნეობას. ცენტრის ბევრი კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა, რაიონი და ზოგიერთი ოლქიც კი არა თუ წინ ვერ მიდის, არამედ ერთ ადგილს ტკეპნის და უკან-უკანაც კი მიდის. ამავე დროს ჩამორჩენილი მეურნეობების, რაიონებისა და ოლქების ხელმძღვანელები წარმოთქვამენ სიტყვებს და იღებენ მრავლისაღმთქმელ რეზოლუციებს კომუნიზმისაკენ უსწრაფესი წინსვლის შესახებ. მაგრამ ასეთი სიტყვები, რეზოლუციები და ვალდებულებები გახვრეტილ ფარადაც არა ღირს, თუ ისინი განმტკიცებული არ არის კონკრეტული საქმეებით!

გადამწყვეტი ბრძოლა უნდა გამოვუცხადოთ ყოველგვარ ლაყბობას, მინდობილი საქმისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებას. გახურებული შანთით უნდა ამოვწვათ თვალისახვევის შემთხვევები, მიწაწერები, ჩვენი საზოგადოებისათვის უცხო ისეთი სამარცხვინო მოვლენები, როგორიც არის ხალხის დოვლათის დატაცება, მექრთამეობა და ლოთობა.

ჩვენი ქვეყანა კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის ხანაში შევიდა. რას ნიშნავს ეს პრაქტიკულად? ეს მარტო რეზოლუციები როდია, მარტო ლექციები და საუბრები როდია. ჩვენ გვესაჭიროება საუბრებიც და ლექციებიც კომუნიზმის მშენებლობის შესახებ. ისინი თითქოს სხივია, რომელიც გზას გვინათებს, რათა მივაღწიოთ ჩვენს დიად მიზანს კომუნისტურ მშენებლობაში. მაგრამ მთავარი, გადამწყვეტია კონკრეტული საქმეები, მილიონობით იმ ადამიანთა შრომა, რომლებიც საზოგადოების მატერიალურ დოვლათს ქმნიან.

ყველა რომ იმდენად განათლებული და მომზადებული იყოს, რომ ზეპირად იცოდეს მარქსის, ენგელსის, ლენინის დებულებანი და ფორმულები კომუნიზმის შესახებ, მაგრამ კარგად ვერ შრომობდეს წარმოებაში, არ იცოდეს, ვთქვათ, სოფლის მეურნეობაში კარტოფილის, სიმინდის მოყვანა, არ იცოდეს, როგორ უნდა აწარმოოს ხორცი, რძე და როგორ უნდა უზრუნველყოს მოსახლეობა მთელი საჭირო პროდუქტებით, მაშინ კომუნიზმის რა მშენებლები ვიქნებით? ამ შემთხვევაში ჩვენ გადავიქცევით ცხოვრებას მოწყვეტილ სქოლასტებად, რომლებიც დავობენ იმის შესახებ, თუ ვინ უკეთ იცის კომუნიზმის მშენებლობის შესახებ გამოთქმული აზრები, ციტატები, მაგრამ პრაქტიკულად უნარი არ შესწევთ გამოიყენონ მოძღვრება კომუნიზმის შესახებ, უნარი არ შესწევთ სწორად მოაწყონ ბრძოლა ახალი საზოგადოების აშენებისათვის. არ შეიძლება დავუშვათ, რომ კომუნისტები თეორიაზე მსჯელობდნენ ცხოვრებისაგან მოწყვეტით, ეწეოდნენ ბრძოლებს, როგორც იტყვიან, „ქაღალდის ხმლებით“, ხოლო პრაქტიკულად, ცხოვრებაში, მოჰყავდეთ ჰექტარზე, ვთქვათ, 5 ცენტნერი შვრია!

მარქსს, ენგელსს, ლენინს რომ შეეძლოთ წამოდგნენ და ნახონ ასეთი ადამიანები, უთუოდ იტყოდნენ: თქვენ ჩვენი მოწაფეები არა ხართ, თქვენ დროსა და ძალღონეს ხარჯავთ უქმ ლაპარაკზე, მთავარი კი ის არის, რომ პრაქტიკულად აშენებდეთ ახალ ცხოვრებას. ნამდვილი მარქსისტი, ნამდვილი ლენინელი ის არის, ვისაც არა მარტო გარკვევა შეუძლია მარქს-ენგელს-ლენინის მოძღვრებაში, არამედ ვინც გამოიყენებს მას ცხოვრებაში, გამოიყენებს როგორც ჩვენს დიად იდეურ იარაღს მშრომელთა ხელისუფლებისათვის, ახალი ცხოვრების მშენებლობისათვის ბრძოლაში.

მარქსიზმ-ლენინიზმის დროშით ჩვენმა პარტიამ, ჩვენმა ხალხმა მოიპოვეს ძალაუფლება. მაგრამ, ძალაუფლებას რომ მოიპოვებ, უნდა შეგეძლოს გამოიყენო იგი ახალი, უკეთესი ცხოვრების მშენებლობისათვის, წარმოების ყველა საშუალება ჩააყენო ხალხის სამსახურში. უზრუნველყო მატერიალური და სულიერი დოვლათის წარმოების ისეთი დონე, რომელიც ნამდვილად მისცემდა ადამიანებს ყველაფერს მათი მზარდი მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის. მაშინ ის ადამიანიც კი, რომელიც ჯერ კიდევ ვერ ერკვევა მარქსიზმ-ლენინიზმში, იტყვის: აი ეს მართლაც ყველაზე მოწინავე წყობილებაა, იგი ზრუნავს ადამიანებისათვის, აძლევს მათ ყველა სიკეთეს, ისეთი წყობილებაა, რომელზეც მუდამ ოცნებობდნენ მოწინავე ადამიანები. სოციალიზმისა და კომუნიზმის ასეთი წარმატებების დროს ბევრი ჩვენი საზღვარგარეთელი მოწინააღმდეგეც კი მიხვდება, რომ ახალი საზოგადოებრივი წყობილება ყველა ადამიანისათვის უზრუნველყოფს ცხოვრების ისეთ დონეს, როგორიც არ შეიძლება იყოს კაპიტალიზმის დროს. ის ადამიანებიც კი, რომლებიც აცხადებენ, რომ მათ არა სურთ ეწეოდნენ პოლიტიკას, რომ მათ აინტერესებთ მხოლოდ კარგი სადილი, კარგი საუზმე, კარგი ვახშამი, თუ დაინახავენ, რომ კომუნიზმის დროს ცხოვრების უფრო მაღალი დონეა, ვიდრე კაპიტალიზმის დროს, იტყვიან: „საჭიროა მაინც ჩავუფიქრდეთ, მართალი ვიყავით თუ არა, როცა ვილაშქრებდით კომუნიზმის წინააღმდეგ, კომუნიზმის შესახებ მოძღვრების წინააღმდეგ“?

მატერიალური დოვლათის წარმოების სწრაფი განვითარება, ხალხის ცხოვრების დონის ამაღლება მთავარი მიმართულება და მთავარი იარაღია ჩვენს ბრძოლაში ძველი კაპიტალისტური სამყაროს წინააღმდეგ, ბრძოლაში მარქს-ენგელს-ლენინის მოძღვრებით შობილი ახალი საზოგადოების განმტკიცებისათვის, დიდი ოქტომბრის საქმის გამარჯვებისათვის, რომელიც ძლევამოსილად დაიწყეს მუშათა კლასმა, მშრომელმა გლეხობამ და ჩვენმა ინტელიგენციამ ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით. **(მქუხარე ტაში).**

ამხანაგებო! თქვენ ხართ კომუნიზმის მშენებლები სასოფლო-სამეურნეო წარმოების ფრონტზე. მაგრამ რას ნიშნავს სიტყვა მშენებელი? მე კარგად ვიცნობ მშენებლებს, დიდ პატივს ვცემ ადამიანებს, რომლებიც აშენებენ ახალს საზოგადოებისათვის, ყველა ჩვენთვის.

წარმოიდგინეთ ასეთი სურათი: შეიკრიბნენ მშენებლები და მსჯელობენ, რით უნდა დაიწყონ სახლის შენება. ჯერ შეიმუშავებენ და დაამტკიცებენ პროექტს, შემდეგ შეიქმნება სამშენებლო მოედანი, ჩაიყრება საძირკველი, შემდეგ აშენდება პირველი სართული, მას მოჰყვება მეორე და მესამე, და ასე სართულ-სართულ აიგება შენობა არქიტექტორებისა და ინჟინრების პროექტითა და გეგმებით. მშენებლები აგებენ ზედიზედ სახლებს, სანამ არ შეიქმნება ყველაფერი, რაც საჭიროა ადამიანისათვის.

სოფლის მეურნეობის მუშაკებიც ამბობენ, რომ ისინი კომუნიზმის მშენებლები არიან, და გულწრფელადაც ამბობენ. მაგრამ კარგი მშენებლები რომ იყოთ, დღითიდღე და წლითიწლობით უნდა იაროთ წინ, აწარმოოთ სოფლის მეურნეობის მეტი პროდუქტები, გაზარდოთ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა და მეცხოველეობის პროდუქტიულობა.

მაგრამ საქმით ყველას ასე როდი გამოსდის. ბევრ კოლმეურნეობაში, რაიონსა და ოლქში პროდუქტების წარმოება დიდხანს ერთსა და იმავე დაბალ დონეზეა.

გავიდა წელიწადი — თქვენ მიიღეთ, მაგალითად, 10 ცენტნერი მარცვალი ჰექტარზე; შემდეგ წელიწადს თქვენ ისევ ასეთი მოსავალი მიიღეთ; იწყება მესამე წელი, თქვენ ყველას არწმუნებთ, რომ წინ მიდიხართ კომუნიზმის მშენებლობის გზით, საქმით კი ამ მესამე წელსაც თქვენ კვლავ აიღეთ მოსავალი 10 ცენტნერი ჰექტარზე.

ეს რა, წინსვლაა? არა, ამხანაგებო, ეს წინსვლა კი არა, ერთი ადგილის ტკეპნაა, ეს კომუნიზმის მშენებლობა კი არა, მეურნეობის ცუდი გაძღოლაა. ჩვენ ვერ შევურიგდებით ასეთ მდგომარეობას. ადამიანები, რომლებსაც არ შეუძლიათ საქმის ცოდნით უხელმძღვანელონ მეურნეობას, არ შეუძლიათ მუშაობა ისე მოაწყონ, რომ წარმოება წლითიწლობით იზრდებოდეს და უმჯობესდებოდეს, ასეთი ხელმძღვანელები უნდა შევცვალოთ უფრო ენერგიული და გამოცდილი ადამიანებით, რომლებიც შეძლებენ სათავეში ჩაუდგნენ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მშრომელებს. მოლაყბეები და უპასუხისმგებლო ადამიანები უნდა გადავაყენოთ ხელმძღვანელი პოსტებიდან. **(ტაში).**

ამ თათბირზე გამოსვლებში თქვენ სწორად აკრიტიკებდით ბევრ ნაკლს სოფლის მეურნეობაშიც, მრეწველობის მუშაობაშიც. აქ ამბობდნენ: ჩვენ ცოტას გვაძლევენ სელის ასაღებ კომბაინებს, ხელით მუშაობა გვიხდებაო. თქვენ აკრიტიკებთ, რომ ცოტას გაძლევენ საწველ აგრეგატებს, რის გამო ბევრი შრომა გეხარჯებათ ძროხების წველაზე. თქვენ ამბობთ, რომ ჯერ კიდევ ცოტაა ტრაქტორები. ეს ყველაფერი სწორია. მეტი უნდა ვაწარმოოთ მანქანებიც, სასუქებიც სოფლის მეურნეობისათვის.

ეს ნიშნავს, რომ მუშებმა მეტი ქვანახშირი და მადანი უნდა ამოიღონ, მეტი ფოლადი გამოადნონ; მანქანათმშენებლებმა მეტი მანქანები უნდა შექმნან, ქიმიკოსებმა მეტი სასუქები გამოიმუშაონ. მუშები კიდევაც აკეთებენ ამას. ისინი მთლიანად და გადაჭარბებით ასრულებენ შვიდწლედის დავალებებს, წლითიწლობით ზრდიან პროდუქციის წარმოებას ყველა დარგში. ბევრი კოლმეურნეობა კი არ ზრდის მარცვლეულის, ხორცის, რძის წარმოებას. განა ამ შემთხვევაში ასეთი მეურნეობანი მხარდამხარ მიჰყვებიან ქარხნებს? განა დასაშვებია, რომ სოფლის მეურნეობა ჩამორჩებოდეს მრეწველობას?

ამ ცოტა ხნის წინათ ვიყავი ქსოვილების გამოფენაზე და დიდად კმაყოფილი დავრჩი. ქსოვილების 15 პროცენტი ჩვენში უკვე ახლა კეთდება ხელოვნური მასალებისაგან. ეს იწვევს სიხარულის გრძნობას და დიდ სიამაყეს ჩვენი მრეწველობისათვის, ჩვენი მეცნიერებისათვის, მეცნიერთათვის, ინჟინერთა და მუშათათვის. მრეწველობა სულ უფრო მეტს აწარმოებს იაფ, კარგი ხარისხის, ლამაზ და გამძლე ქსოვილებს. თუ ქალიშვილს ახლა ორი კაბა აქვს, ასეთი ქსოვილებისაგან იგი მოისურვებს ჰქონდეს სხვადასხვა გაფერადების სამიოთხი კაბა. და ეს კანონიერი სურვილია.

მაგრამ იმისათვის, რომ დაკმაყოფილდეს ეს მოთხოვნილება, ყველა უკეთ უნდა შრომობდეს, მეტს აწარმოებდეს სხვადასხვა პროდუქტებს. მაშინ ყველა მეტ ხელფასს მიიღებს, მეტი შემოსავალი ექნება და შეეძლება მეტი იყიდოს. ეს იმას ნიშნავს, რომ სულ უფრო მეტად უნდა ივსებოდეს ჩვენი საერთო დოვლათის თასი. თვითეულ მუშასა და კოლმეურნეს, თვითეულ ინტელიგენტს, ყველა მშრომელს უნდა შეჰქონდეს თავისი შესაძლო წვლილი ამ უდიდეს საქმეში, განუწყვეტლივ შეავსებდეს ამ თასს. და მაშინ ყველა იგრძნობს მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებას, სულიერ ზრდას, სულ უფრო მზარდ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას.

მაგრამ თუ იქნებიან ისეთი მშენებლები, რომლებიც ბევრს ლაპარაკობენ კომუნიზმის მშენებლობაზე, თვითონ კი სულ მუდამ ერთ კენჭს თლიან, არ გაადიდებენ ნაყოფიერებას, არ გაადიდებენ პროდუქტიულობას, განა ამგვარი მუშაკებით საქმე წინ წავა?

მშენებელი, კალატოზი, ახალ შენობას რომ აგებს, საფეხურიდან საფეხურზე ადის და სახლი თვალწინ იზრდება. ჩვენ ყველანი სოფლის მეურნეობაშიც ასეთი კალატოზივით უნდა ვშრომობდეთ. დღეს ჩვენ მოვიყვანეთ კარგი მოსავალი, ავიღეთ და ვიზრუნეთ, რომ მომავალ წელს კიდევ უფრო მეტი მოსავალი მივიღოთ, დღეს ჩვენ მივიღეთ ამდენი და ამდენი ხორცი და რძე ჰექტარზე და ახლავე ვხმარობთ ყოველ ღონეს, რომ მომავალი წლისათვის უზრუნველვყოთ მათი წარმოების გადიდება. და ასე განუწყვეტლივ.

აი ჩვენ რომ უზრუნველვყოთ შრომის ნაყოფიერების ზრდის ეს უწყვეტობა და წარმოების ზრდის უწყვეტობა თვითეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში, თვითეულ რაიონში, ჩვენ საქმით უზრუნველვყოფთ სოფლის მშრომელთა ღირსეულ წვლილს კომუნიზმის მშენებლობაში. და როცა ჩვენ პირამდე ავავსებთ ჩვენს სოციალისტურ თასს ყველა სახეობის პროდუქტებით, მაშინ ნამდვილად ყველა ადამიანი მთლიანად დაიკმაყოფილებს თავის მოთხოვნილებებს, როგორც მატერიალურს, ისე სულიერს.

ყოველივე ეს ბევრად არის დამოკიდებული სოფლის მეურნეობის მშრომელთა წარმატებებზე. სწორედ ისინი აწარმოებენ იმ პროდუქტებს, რომლებიც ხმარდება ადამიანის სასიცოცხლო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას. მუშათა დიდი რაზმი იღებს ქვანახშირსა და მადანს. მაგრამ ადამიანი უშუალოდ როდი ხმარობს ქვანახშირს ან მადანს, ქვანახშირი და მადანი საჭიროა ლითონის წარმოებისათვის, რომლისგანაც კეთდება მანქანები. მანქანებში განსახიერებულია მრავალი ადამიანის ტვინის მოქმედება და კუნთების შრომა. ამ მანქანების დახმარებით ჩვენ შეგვიძლია მეტი ვაწარმოოთ ის პროდუქტები, რომლებიც უშუალოდ აკმაყოფილებენ ადამიანის მოთხოვნილებებს, ამშვენებენ მის ცხოვრებას. კარგად და გემრიელად გაკეთებული სადილი, საუზმე და ვახშამი სწორედ ის არის, რაც სასიცოცხლოდ საჭიროა ყოველი ადამიანისათვის. ადამიანის სასიცოცხლო მოთხოვნილებაა მიიღოს კარგი ტანსაცმელი, კარგი ფეხსაცმელი, კეთილმოწყობილი ბინა, ყველა მოხერხებული პირობა ადამიანის ცხოვრებისათვის, მისი ოჯახისათვის, დაიკმაყოფილოს სულიერი მოთხოვნილებანი.

კომუნიზმი როდია წარმოება წარმოებისათვის, ეს არის წარმოება ხალხის ცხოვრების გაუმჯობესებისათვის. მთელი ჩვენი ძალღონე მოვახმარეთ მძლავრი მრეწველობის, დიდად განვითარებული სოფლის მეურნეობის შექმნას იმისათვის, რომ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარების მეშვეობით უზრუნველვყოთ მატერიალური სიკეთის წარმოების გაფართოება და ადამიანის ყველა მოთხოვნილების დაკმაყოფილება.

ჩვენთვის, კომუნიზმის მშენებლებისათვის, მთავარია ადამიანი. კომუნიზმისათვის ბრძოლა ადამიანის უკეთესი ცხოვრებისათვის ბრძოლაა. ყველაფერი ადამიანის ბედნიერებისათვის, ყველაფერი მისთვის! **(მქუხარე ტაში).**

ჰო და, ამხანაგებო, გასინჯეთ, რომელი თქვენგანი როგორი მშენებელია, როგორი კალატოზია. ვინ ამრავლებს ნამდვილად მატერიალური დოვლათის წარმოებას და აშენებს კომუნიზმის შენობას, ხოლო ვინ ტკეპნის ერთ ადგილს და მხოლოდ იკავებს ნამდვილი მშენებლის ად-

(გაგრძელება მე-2 გვერდზე)

ნ. ს. ხრუშჩოვი სვერდლოვსკში ჩავიდა

სვერდლოვსკი, 28 თებერვალი. (საქდესი). დღეს სვერდლოვსკში ჩამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი, რომელიც მონაწილეობას მიიღებს ურალის ოლქებისა და ავტონომიური რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირში.

თათბირზე აგრეთვე ჩამოვიდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის რუსეთის სფსრ ბიუროს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. გ. ი. ვორონოვი და რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. დ. ს. პოლიანსკი.

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა

(გაგრძელება)

გილს. ეს სულ მუდამ უნდა გვახსოვდეს, კარგ ადამიანებს უნდა ვეხმარებოდეთ, მათს გამოცდილებას ვავრცელებდეთ, დაუდევრებსა და უუნაროებს კი უნდა ვცვლიდეთ.

არც ერთ საბჭოთა ადამიანს, მით უფრო კომუნისტს, ხელმძღვანელს, არ შეუძლია გულგრილად უყურებდეს ნაკლოვანებებსა და შეცდომებს საზოგადოებრივი მეურნეობის გაძღოლაში, არ შეუძლია გულგრილად აუაროს გვერდი ყოველივე იმას, რაც ხელს უშლის ჩვენი პარტიის ბრძოლას ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის, რაც აფერხებს ჩვენს წინსვლას.

ყველას უნდა გვახსოვდეს, რომ სწორედ ჩვენი სამეურნეო წარმატებანი განამტკიცებენ ქვეყნის ძლიერებას, ზრდიან მის ავტორიტეტს მთელი მსოფლიოს მშრომელთა თვალში, მის ზემოქმედებას საერთაშორისო განვითარების მთელ მსვლელობაზე. როგორც მრეწველობის, ისე სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის დონის ამაღლების საკითხი, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების საკითხი, უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური საკითხია. ვისაც ეს ვერ შეუგნია, მას არაფერი არ გაეგება პარტიის პოლიტიკაში, ნამდვილი ხელმძღვანელი ვერ იქნება.

აი ამიტომ ხელმძღვანელობის დონის ამაღლების, თავიდან ბოლომდე კადრებთან მუშაობის საკითხს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ახლა ჩვენ გვყავს მილიონობით შესანიშნავი ადამიანი, რომლებმაც შრომით მოიპოვეს ხალხის პატივისცემა და საზოგადოებრივი აღიარება და რომლებიც საქმით გვიჩვენებენ, რომ უნარი შესწევთ გამოიყენონ მეურნეობის სოციალისტური სისტემის უპირატესობანი. ხალხის მასებიდან გაიზარდნენ ნიჭიერ ორგანიზატორთა მრავალრიცხოვანი კადრები, რომლებსაც ზედმიწევნით აქვთ შეგნებული პარტიის პოლიტიკა და უნარი შესწევთ განახორციელონ ეს პოლიტიკა. ასეთ ადამიანებს სიძნელეებისა არ ეშინიათ, ისინი ძალღონეს არ იშურებენ ჩვენი საერთო საქმის წარმატებისათვის.

მრეწველობაშიც და სოფლის მეურნეობაშიც გვყავს კარგად განათლებული, საქმის მცოდნე ბევრი მუშაკი, რომლებსაც შეუძლიათ გამოიყენონ ახალი ტექნიკა და მეცნიერების მიღწევები. ახლა ყველა პირობა მოგვეპოვება, რათა წარმატებით გადავწყვიტოთ სახალხო მეურნეობის განვითარების ყველაზე რთული ამოცანები არა ადამიანთა ფიზიკური ძალღონის ზედმეტად დაძაბვისა და ზედმეტი ჯაფის, არამედ ცოდნის, გონების მეოხებით.

მართლაც, ჩაუფიქრდით, ამხანაგებო, ასეთ ფაქტს, უკანასკნელი აღწერის მონაცემებით თქვენი ზონის რაიონებში ყოველ ათას მცხოვრებზე მოდის საშუალო და უმაღლესი განათლების მქონე 314 კაცი. ხოლო ყოველ ათას მომუშავეზე მოდის საშუალო და უმაღლესი განათლების მქონე 463 კაცი. თქვენი ზონის ოლქებსა და ავტონომიურ რესპუბლიკებში არის 6 ათასი კოლმეურნეობა და თითქმის 800 საბჭოთა მეურნეობა, ხოლო უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე იმ სპეციალისტთა რიცხვი, რომლებიც უშუალოდ დასაქმებული არიან სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში, 40 ათასს შეადგენს.

სოფლის მეურნეობის ყველა ამ 40 ათას სპეციალისტს რომ სწორად ესმოდეს ამოცანები და უნარიანად იყენებდეს თავის ცოდნას პრაქტიკაში, უფრო დიდი წარმატებანი გვექნებოდა სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში. აქ კიდევ მინდა ვუთხრა ჩვენს ახალ სოფლის მეურნეობის მინისტრს მ. ა. ოლშანსკისა და უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრს ვ. პ. ელიუტინს — მოდით ვნახოთ, როგორ ასწავლიან ჩვენს სასწავლებლებში აგრონომებს, ინჟინრებსა და ზოოტექნიკოსებს.

აქ გამოვიდა პროფესორი მ. გ. ჩიჟევსკი, რომელიც მიწათმოქმედების კათედრას ხელმძღვანელობს ტიმირიაზევის სახელობის სასოფლო-სამეურნეო აკადემიაში. იგი ასწავლის ახალგაზრდა ადამიანებს, რომლებიც ინსტიტუტების დამთავრების შემდეგ სამუშაოდ წავლენ სოფლის მეურნეობაში. მერე რა თქვა მან სასარგებლო? თუ იგი ასევე უკითხავს ლექციებს სტუდენტებს, საჭირო იქნება მათ ხელახლა ვასწავლოთ. ამავე დროს მოგეხსენებათ, რომ უფრო ძნელია არა ის, რომ ასწავლო ადამიანს, არამედ ხელახლა სწავლება, რადგან ახალგაზრდა სტუდენტს პროფესორი უმაღლეს ავტორიტეტად მიაჩნია, ითვისებს იმას, რასაც პროფესორი ან აკადემიკოსი ეუბნება.

საჭიროა სპეციალისტთა კადრებს ვზრდიდეთ მოწინავე მეცნიერების, მოწინავე გამოცდილების მიხედვით. კარგია კადრები სწავლობდნენ ისეთ მეცნიერთაგან, რომლებიც მჭიდროდ დაკავშირებული არიან ცხოვრებასთან, როგორიც არის აკადემიკოსი ტროფიმე დენისის-ძე ლისენკო. მე თვითონ ბევრი რამ მომისმენია მისგან და მისი მოწაფეებისაგან, რამდენჯერმე ვყოფილვარ მის მეურნეობაში მოსკოვის ახლოს და ოდესის ინსტიტუტში და მადლობით ვიგონებ მათთან საუბრებს. **(ტაში).** სასარგებლოა აგრონომებმა და ზოოტექნიკოსებმა შეისწავლონ ისეთი ადამიანების გამოცდილება, როგორიც არიან ტულის ოლქის საბჭოთა მეურნეობა „კრასნი ბოგატირის" დირექტორი პ. ვ. ჩებუკინი, კოლმეურნეობათა ისეთი თავმჯდომარეებისა, როგორიც არიან ფ. ს. გენერალოვი და ი. ა. ბუიანოვი მოსკოვის ოლქში, ვ. მ. კავუნი ვინიცის ოლქში, საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ა. ა. გოლცოვი მოსკოვის ოლქში, ს. კ. კოროტკოვი ჩუვაშეთის ასს რესპუბლიკაში.

უნდა ვისწავლოთ ერთმანეთისაგან; უნდა ვასწავლოთ საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებს ან ბრიგადირებს არა მარტო ლექციების კითხვის გზით, უნდა ვასწავლოთ მათ პრაქტიკით, მოწინავე მეურნეობათა გამოცდილებით, რომ თვალნათლივ დაინახონ, თუ როგორ მიჰყავთ საქმე მოწინავე მეურნეობებს. ასეთი მოწინავე ადამიანები კი ჩვენში ათასობით და ათეულათასობით არიან.

თქვენი ზონის სოფლის მეურნეობაში შრომობს 134 ათასი ტრაქტორისტი, 34 ათასი კომბაინერი და 74 ათასი ავტომანქანის მძღოლი. ეს უდიდესი არმიაა. ასეთი ადამიანებით, ასეთი კადრებით უნარიანი ორგანიზატორული და აღმზრდელობითი მუშაობის დროს, კარგი ხელმძღვანელობის დროს შეიძლება მთები გადავაბრუნოთ, ამხანაგებო!

ჩვენ ახლა ვცხოვრობთ ჩვენი საბჭოთა სახელმწიფოს განვითარების ისეთ პერიოდში, როცა მიღწეულია უდიდესი წარმატებანი მრეწველობის, ტექნიკის განვითარებაში. ჩვენ დავიწყეთ ხელის შრომით, და ქებადიდება იმათ, ვინც თავი გამოიჩინა უტექნიკოდ შრომაში. ასეთები კი ჩვენ ძალიან ბევრი გვყავს საკოლმეურნეო მოძრაობის ვეტერანთა შორის. ასეთები არიან პ. ა. პროზოროვი, პ. ა. მალინინა და თ. ს. გენერალოვი, რომელიც არა მარტო გვარით არის გენერალოვი, არამედ ნამდვილად გენერალია სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში. შეიძლება დავასახელოთ მრავალი ათასი და მილიონი ადამიანი. მაგრამ თუ ჩვენ კვლავაც გამოვიყენებთ მარტო ხელის შრომას, ჩვენი წინსვლა შეიძლება დაყოვნდეს. ჩვენ უნდა გავადიდოთ შრომის ნაყოფიერება, შევამციროთ თვითღირებულება, ნაკლები ხარჯებით მივიღოთ მეტი პროდუქტები, რომლებიც მუშათა შრომით იქმნება. მეცხოველეობაში მომავალი ეკუთვნით იმათ, ვინც გადადის პირუტყვის მოვლის მექანიზებულ ხერხზე, იმათ, ვინც იყენებს მექანიკურ წველას, იყენებს ეგრეთწოდებულ „ნაძვისხეს". გამარჯვება იმათ დარჩება, ვინც თითო ძროხაზე იღებს 3.000 კილოგრამ რძეს, მაგრამ უვლის 100-150 ძროხას, რძე უფრო იაფი იქნება.

საჭიროა, ამხანაგებო, სწორი ორიენტაცია ავიღოთ თვითონ და სწორი ორიენტაცია მივცეთ სხვებს. აქ გამოვიდა მწველავი ამხ. ზ. ი. ზაბოტინა, რომლის ქმარი მასთან ერთად აგრეთვე მწველავად მუშაობს. დიდი სიამოვნებით ვუსმენდი მას. მოწინავე ადამიანთა წარმატებანი დღეს სოფლის მეურნეობის ყველა მშრომელის ხვალინდელი დღეა.

პარტია და მთავრობა ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა გააუმჯობესონ სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობა. ამ დღეებში გამოქვეყნდა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება სოფლის მეურნეობის სამინისტროს რეორგანიზაციის და კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის ტექნიკის, სასუქებისა და სხვა მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების მიყიდვის გაერთიანების შექმნის შესახებ.

მე მგონია, რომ ამ შემთხვევაში გამონახულია სწორი ორგანიზაციული ფორმა იმის გათვალისწინებით, რომ სხვადასხვა ზონა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების სხვადასხვა პირობა მოითხოვს სხვადასხვა ტექნიკას. ახლა ყოველ ოლქს, და არა მარტო რესპუბლიკას, შესაძლებლობა ექნება გავლენა მოახდინოს იმ მანქანების შეკვეთასა და წარმოებაზე, რომლებიც შეგუებულია ამ ზონისადმი. გაერთიანების ხელმძღვანელზე პ. ს. კუჩუმოვზე დიდ იმედს ვამყარებთ, მან ამხანაგებთან ერთად მოფიქრებულად და კარგად უნდა იმუშაოს, თავი გაართვას იმ დიდ ამოცანას, რომელიც დასახულია ახალი გაერთიანების წინაშე.

პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებებს დიდი მნიშვნელობა აქვს. მათში ხაზგასმულია, რომ სასოფლო-სამეურნეო ორგანოების მთავარი ამოცანაა მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვა. მთელი საქმე ის არის, რომ კარგად გამოვიყენოთ ახალი შესაძლებლობანი, რომლებსაც გვაძლევს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მუშაობის გარდაქმნა.

საჭიროა, რომ სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, მოკავშირე რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის სამინისტროებმა, ვ. ი. ლენინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა სრულიად საკავშირო აკადემიამ და ზონალურმა სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტებმა შეიმუშაონ თვითეული ზონის მიწათმოქმედების სისტემა. ეს მუშაობა სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაევალა ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინათ, მაგრამ არ შესრულებულა.

წარსულში მთელი ჩვენი ქვეყნისათვის რეკომენდებული იყო ერთი სისტემა, ეგრეთწოდებული ნათესბალახიანი სისტემა. მისი შემქმნელი იყო ჩვენი ქვეყნის გამოჩენილი მეცნიერი აკადემიკოსი ვ. რ. ვილიამსი. თავისთავად ნათესბალახიანი სისტემა ყველაფერში როდი იყო სწორი, ყველაფერში სწორი არ იყო აგრეთვე მისი შემქმნელი აკადემიკოსი ვ. რ. ვილიამსი. იგი თვითონ აღიარებდა, რომ ზოგიერთი მისი რეკომენდაცია სწორი არ აღმოჩნდა, და სიცოცხლის დროსვე შეჰქონდა შესწორებები თავის სისტემაში. პრაქტიკამ უარყო იგი როგორც ერთიანი სისტემა ჩვენი ქვეყნის ყველა ზონისათვის. ჩვენ უნდა გამოვიყენოთ ყოველივე სასარგებლო ვილიამსის მოძღვრებაში, ხოლო სასარგებლო მას ბევრი აქვს. ჩვენ უნდა ავიღოთ აგრეთვე ყოველივე ძვირფასი აკადემიკოს დ. ნ. პრიანიშნიკოვისაგან, რომელმაც თავისი შრომებით ბევრი სასარგებლო და საინტერესო რამ შეიტანა სოფლის მეურნეობის მეცნიერებაში. ყოველივე ეს უნდა ავიღოთ ჩვენი სოფლის მეურნეობის შესაიარაღებლად. ჩვენ აგრეთვე უფრო სრულად უნდა გამოვიყენოთ ვ. ვ. დოკუჩაევისა და მისი მოწაფეების, ჩვენი ქვეყნის დიდი მეცნიერ-ნოვატორის ი. ვ. მიჩურინის მეცნიერული მემკვიდრეობა.

მიწათმოქმედების სისტემისათვის ბევრი რამ შეიძლება ავიღოთ აკადემიკოს ტ. დ. ლისენკოსა და სხვა მოწინავე მეცნიერთა შრომებიდან. მიწათმოქმედების სისტემა უნდა იყოს სოფლის მეურნეობის გაძღოლის მეცნიერული საფუძველი. მიწათმოქმედების მეცნიერულად დასაბუთებული სისტემის ბაზაზე შეიძლება შევიმუშაოთ მწყობრი პროგრამა უმაღლესი სასწავლებლებისათვის და მის საფუძველზე მოვამზადოთ სპეციალისტები. მიწათმოქმედების სისტემა უნდა იყოს ზონალური, იგი არ შეიძლება იყოს ერთიანი ჩვენი თვალუწვდენი ქვეყნის სხვადასხვა რაიონისათვის.

თუ ჩვენ ასეთი სისტემა გვექნება, მაშინ სასწავლებლებიც უნდა გარდაიქმნან და აგრონომები მოამზადონ ზონალური პირობების გათვალისწინებით. მაშინ უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებულ სპეციალისტებს უკეთ ეცოდინებათ წარმოება, მეურნეობის გაძღოლა მაღალ დონეზე, მეცნიერების მიღწევებისა და პრაქტიკის ფართოდ გამოყენებით.

სოფლის მეურნეობის მეცნიერების წინაშე, განსაკუთრებით სელექციონერთა წინაშე, დგას დიდი ამოცანები სასოფლო-სამეურნეო კულტურების უფრო ხარისხოვანი ჯიშების გამოყვანისათვის, რათა ისინი უფრო მოსავლიანი იყოს. რაც შეეხება ტექნიკურ კულტურებს, ჯიშების ხარისხი უნდა განისაზღვროს არა მარტო ჰექტარზე მიღებული მოსავლით, არამედ აგრეთვე სხვა დიდმნიშვნელოვანი ღირსებებით, მაგალითად, შაქრის ჭარხალი უნდა შეიცავდეს შაქრის [illegible] ზირა და სხვა ზეთოვანი კულ[illegible] მაღალ პროცენტს. ამ პრობლემის [illegible] ნილობა ექნება სოფლის [illegible] ციონერი, რომელიც ამ გზით მიაღწევს უკეთეს შედეგებს, დიდ წვლილს შეიტანს ხალხისათვის პროდუქტების სიუხვის შესაქმნელად ბრძოლის ჩვენს საერთო საქმეში.

ნათესი ფართობების სტრუქტურა და მიწის უფრო გონივრულად გამოყენება

ისმება კითხვა, შეუძლია თუ არა არაშავნიადაგიანი ზონის რაიონების სოფლის მეურნეობას მთლიანად უზრუნველყოს თავისი ქალაქები საჭირო სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით არა მარტო ამჟამად, არამედ მომავალშიც მშრომელთა ეკონომიკისა და მოთხოვნილებათა ზრდის გათვალისწინებით.

არაშავნიადაგიანი ზონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში არსებული მოსავლიანობისა და მეცხოველეობის ახლანდელი პროდუქტიულობის დროს არ შეიძლება მთლიანად უზრუნველვყოთ ქალაქების მოთხოვნილება ხორცზე, რძეზე, კარტოფილსა და ბოსტნეულზე, განსაკუთრებით თუ გავითვალისწინებთ მოსახლეობის სწრაფად მზარდ მოთხოვნილებებს ამ პროდუქტებზე.

მაშ რა ვქნათ, შევურიგდეთ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების ასეთ დაბალ დონეს თქვენს რაიონებში და კვლავ შეგვქონდეს მსხვილ სამრეწველო ცენტრებში ხორცი, რძე, კარტოფილი და ბოსტნეული რამდენიმე ასეულ კილომეტრზე თუ მივიღოთ ისეთი ღონისძიებანი, რომ მოკლე ვადაში მკვეთრად გავადიდოთ მოსავლიანობა და მეცხოველეობის პროდუქტიულობა და ამ გზით გავაუმჯობესოთ ქალაქების მომარაგება, მთლიანად უზრუნველვყოთ ისინი საჭირო პროდუქტებით?

თქვენი ზონის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების შესაძლებლობანი დიდია და მეურნეობის უნარიანი გაძღოლის დროს ისინი უზრუნველყოფენ ქალაქებს საკმაო რძით, კარტოფილით და ბოსტნეულით, რაც შეეხება ხორცსა და ხორცის პროდუქტებს, ისინი ალბათ ნაწილობრივ უნდა შემოვზიდოთ ზოგიერთი სხვა ოლქიდან.

თქვენ ზონას არა მარტო შეუძლია უზრუნველყოს თავისი თავი რძით, კარტოფილით და ბოსტნეულით, არამედ, როგორც ეკონომისტები ამბობენ, მოხმარების ზონიდან უნდა გადაიქცეს მწარმოებელ ზონად. მთლიანად რუსეთის ფედერაციის რაიონებს, უეჭველია, შეუძლიათ მთლიანად უზრუნველყონ და კიდევაც უნდა უზრუნველყონ მოსკოვის, ლენინგრადისა და რესპუბლიკის ყველა ქალაქის მოსახლეობა ხორცით და სხვა პროდუქტებით.

როგორ იყენებენ ამ შესაძლებლობებს არაშავნიადაგიანი ზონის ოლქებსა და ავტონომიურ რესპუბლიკებში?

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ამ შესაძლებლობებს ცუდად იყენებენ. არაშავნიადაგიანი ზონის ოლქები ძალიან ცოტა მარცვლეულს აწარმოებენ. ამაში, როგორც ჩანს, ცოტა ჩვენც მიგვიძღვის ბრალი. ყამირი მიწები დიდძალ იაფ მარცვლეულს იძლევიან. ამ წარმატებათა გავლენით ჩვენ, როგორც ჩანს, რამდენადმე გადაჭარბებით შევაფასეთ არაშავნიადაგიანი ზონის ხელმძღვანელთა შეგნებულობა. ამ ზონისათვის ჩვენ შევამცირეთ მარცვლეულის სახელმწიფო შესყიდვა და იმედი გვქონდა, რომ ხელმძღვანელები სწორ დასკვნას გააკეთებენ, არ შეამცირებენ მარცვლეულის წარმოებას, არამედ, პირიქით, გაადიდებენ მას, რათა გამოიყენონ მეცხოველეობის განვითარებისთვის. მაგრამ ბევრი ხელმძღვანელი ჯეროვან სიმაღლეზე ვერ აღმოჩნდა. მათ გაუხარდათ, რომ მათს ოლქებს შეუმცირეს მარცვლეულის შესყიდვის გეგმა და შეწყვიტეს მარცვლეულის მეურნეობის საკითხებზე მუშაობა. ცალკეული ხელმძღვანელები მეტს ფიქრობდნენ არა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების აღმავლობაზე, არამედ შვებულებაზე ზაფხულში. რა თქმა უნდა, ყველამ უნდა დაისვენოს. მაგრამ თუ ადამიანს გული სტკივა საქმისათვის, საქმე კი არ გამოუდის, მაშინ დასვენება დასვენება კი არ არის, არამედ ტანჯვაა. რა ღრმადაც უნდა იცოდეს მან ზღვაში ჩაყვინთვა, მას ყოველთვის თვალწინ ექნება მცირე მოსავალი. **(გამოცოცხლება დარბაზში).** მცირე მოსავლით შორს ვერ წახვალ. ასეთი ხელმძღვანელები ვერ დაიმსახურებენ პარტიისა და ხალხის მადლობას.

თქვენი ზონის ოლქებმა არათუ არ გაადიდეს, არამედ კიდევაც შეამცირეს მარცვლეულის წარმოება. მარცვლეულის წარმოების შემცირების შედეგად არაშავნიადაგიანი ზონის რაიონებმა არსებითად შეწყვიტეს სახელმწიფოსათვის პურის მიყიდვა. 1940 წელს გაყიდული იყო 147 მილიონი ფუთი, 1960 წელს კი გაიყიდა 42 მილიონი ფუთი მარცვალი.

ზოგიერთი ოლქის ხელმძღვანელებს შეუძლიათ თქვან, რომ მთავრობამ შეამცირა მარცვლეულის შესყიდვის გეგმა თქვენს რაიონებში. ეს მართალია. ვაღიარებთ ჩვენს შეცდომას. ჩვენ მეტისმეტი იმედი დავამყარეთ თქვენს შეგნებაზე, თქვენ მიერ საკუთარი მოვალეობის კომუნისტურ გაგებაზე. ახლა საქმეს გამოვასწორებთ: უკვე მიმდინარე წელს მთავრობამ გაადიდა მარცვლის შესყიდვის გეგმა თქვენი ზონის რაიონებში. მომავალი წლისათვის კიდევ გავადიდებთ, რათა ჩავაყენოთ იმის აუცილებლობის პირობებში, რომ იფიქროთ და იმუშაოთ იმაზე, რომ ყოველწლიურად ზრდიდეთ მარცვლეულისა და სოფლის მეურნეობის ყველა სხვა პროდუქტების მოყვანას.

რატომ არ მიკრავთ ტაშს? **(გამოცოცხლება დარბაზში).** მე არა გთხოვთ, რომ ტაში დამიკრათ. არა, მე უკვე არა ვარ ისეთი ასაკისა, რომ ჩემი განწყობილება განისაზღვროს მხოლოდ იმით, მიკრავენ თუ არ მიკრავენ ტაშს. ამ შემთხვევაში ტაშს მივიჩნევდი იმის ნიშნად, რომ თქვენ ეთანხმებით პარტიის ცენტრალურ კომიტეტს თქვენი ოლქების ხელმძღვანელთა გაკრიტიკებაში, აგრეთვე თვითონ თქვენს გაკრიტიკებაში მარცვლეულის წარმოების შემცირებისათვის.

ახლა, როგორც უკვე ვთქვი, ჩვენ გვინდა გამოვასწოროთ ეს საქმე და გავადიდოთ მარცვლის შესყიდვა თქვენს რაიონებში, რათა უფრო მეტად იზრუნოთ მისი წარმოებისათვის. ხომ ეთანხმებით ამას? **(მქუხარე ტაში).**

მაშ შეიძლება თქვენი ტაში მივიჩნიოთ იმ ღონისძიებათა მოწონებად, რომლებიც ცენტრალურმა კომიტეტმა დასახა? **(მქუხარე ტაში).** ვფიქრობ, რომ თქვენ თვითონ გესმით პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს ღონისძიებათა სისწორე. **(ხანგრძლივი ტაში).**

ბევრმა ოლქმა შეწყვიტა მარცვლეულის წარმოება და მეცხოველეობას აწარმოებს სახელმწიფო საკვებით. მაგალითად, მოსკოვის, ვლადიმირის, კოსტრომის, ტულის, იაროსლავლის, კალინინისა და სმოლენსკის ოლქებმა შარშან სახელმწიფოს მიჰყიდეს მხოლოდ 12 მილიონი ფუთი მარცვალი, სახელმწიფოსაგან კი მიიღეს 58 მილიონი ფუთი მარცვალი და სხვა კონცენტრირებული საკვები.

როგორც ხალხში ამბობენ, სხვისი მოყვანილი წიწიბურასაგან ფაფის გაკეთება ყველას შეუძლია, ხოლო იმისათვის, რომ წიწიბურა მოიყვანო, — საჭიროა ჭკუა, საჭიროა შრომა, საჭიროა ისწავლო წიწიბურას მოვლა-მოყვანა ამხ. კავუნისაგან, სტრეკალოვისა და სხვა მოწინავე ადამიანებისაგან.

სახელმწიფო საკვებით მეცხოველეობის წარმოებას დიდი ჭკუა როდი უნდა. ზოგიერთი საბჭოთა მეურნეობის დირექტორი მიეჩვია იმას, რომ წლითიწლობით იღებს საკვებს სახელმწიფოსაგან. თვითონ მათ მცირე მოსავალი მოჰყავთ, სამაგიეროდ ხელს სახელმწიფო ბეღლებისაკენ იშვერენ. მკვეთრად უნდა გავაკრიტიკოთ ასეთი ვაი-ხელმძღვანელები, მეურნეობათა ხელმძღვანელებად წამოვაყენოთ ენერგიული და მცოდნე მუშაკები. **(ტაში).**

დასასრული შემდეგ ნომერში

ნ. ს. ხრუშჩოვისა და ლ. ი. ბრეჟნევის დეპეშები მაროკოს მეფე ჰასან II-ს

მოსკოვი, 28 თებერვალი. (საკდესი). სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა მაროკოს მეფე ჰასან II-ს გაუგზავნა დეპეშა, რომელშიც მიულოცა ტახტზე ასვლა. საბჭოთა მთავრობის მეთაური რწმენას გამოთქვამს, რომ ორივე ქვეყანას შორის არსებული კეთილი ურთიერთობა კვლავაც განვითარდება ურთიერთგაგებისა და მეგობრობის სულისკვეთებით, საერთაშორისო თანამშრომლობისა და მშვიდობის განმტკიცების ინტერესებისათვის.

მაროკოს მეფედ გამოცხადებასთან დაკავშირებით ჰასან II-ს თავის დეპეშაში მიულოცა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა. მან უსურვა მაროკოს მეფეს წარმატებანი დიდ სახელმწიფოებრივ საქმიანობაში, რომლის მიზანია მაროკოს სამეფოს დამოუკიდებლობის შემდგომი განმტკიცება, მაროკოსა და საბჭოთა კავშირის მეგობრული ურთიერთობის განმტკიცება.

ნ. ს. ხრუშჩოვისა და ლ. ი. ბრეჟნევის დეპეშები მაროკოს მეფისადმი

მოსკოვი, 27 თებერვალი. (საკდესი). მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა მაროკოს მეფეს ჰასან II-ს გაუგზავნა დეპეშა, რომელშიც სსრ კავშირის მთავრობისა და პირადად თავისი სახელით ღრმა სამძიმარს უცხადებს მისი მამის — მაროკოს მეფის მოჰამედ V-ის გარდაცვალების გამო.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და პირადად თავისი სახელით გულწრფელი სამძიმრის დეპეშა გაუგზავნა მაროკოს მეფეს ჰასან II-ს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა.

* * *

შეხვედრა ამხანაგ რიჩარდ დიქსონთან

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა, ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. მ. ა. სუსლოვმა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრმა ამხ. ბ. ნ. პონომარიოვმა ინახულეს ავსტრალიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. რ. დიქსონი, რომელიც მოსკოვში იმყოფება სამკურნალოდ, და საუბარი ჰქონდათ მასთან.

საუბარმა გულთბილ ვითარებაში ჩაიარა.

სსრ კავშირის დელეგაცია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XV სესიის მეორე ნაწილზე

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაამტკიცა სსრ კავშირის დელეგაცია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XV სესიის მეორე ნაწილზე შემდეგი შემადგენლობით: ა. ა. გრომიკო (დელეგაციის მეთაური), ვ. ა. ზორინი, ა. ა. სობოლევი, ს. გ. ლაპინი, ზ. ვ. მირონოვა.

გარდა ამისა, დანიშნული არიან დელეგაციის წევრთა მოადგილენი, მრჩევლები, ექსპერტები.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ცნობა

15 თებერვალს თეირანში ირანის საგარეო საქმეთა სამინისტროს სახელით გამოქვეყნდა ცნობა იმის შესახებ, რომ ირანში მიღებულია გადაწყვეტილება მოსკოვში გაემგზავროს ირანის პრემიერ-მინისტრი საბჭოთა მთავრობის მეთაურთან ნ. ს. ხრუშჩოვთან შესახვედრად იმ მიზნით, რომ, როგორც ნათქვამია ცნობაში, „გამოთქვას ირანის კეთილი ნება, მხედველობაში იღებს რა საბჭოთა კავშირის მთავრობის სურვილს".

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ამასთან დაკავშირებით საჭიროდ მიაჩნია განაცხადოს შემდეგი.

იმის შედეგად, რომ რამდენიმე თვის განმავლობაში წარმოებდა აზრთა გაზიარება სსრ კავშირისა და ირანის ხელმძღვანელ სახელმწიფო მოღვაწეთა შორის, საბჭოთა მთავრობის სახელით ჯერ კიდევ გასული წლის ნოემბერში გამოთქმული იყო თანხმობა ირანის მხარის სურვილის შესაბამისად, რომ მოსკოვში მიეღებდნენ ირანის მთავრობის დელეგაციას ირანის პრემიერ-მინისტრის შარიფ-იმამის მეთაურობით საბჭოთა კავშირ-ირანის ურთიერთობის ნორმალიზაციის საკითხების და ორივე მხარისათვის საინტერესო სხვა საკითხების განსახილველად.

დათანხმდა რა ირანის ხსენებული დელეგაციის ჩამოსვლაზე საბჭოთა კავშირში 1960 წლის დეკემბერში-1961 წლის იანვარში, სსრ კავშირის მთავრობა ითვალისწინებდა იმ მნიშვნელობას, რომელსაც ირანის მხარე ანიჭებდა ამ გამგზავრებას, აგრეთვე ითვალისწინებდა გამოთქმულ სურვილს, რომ ამ დელეგაციის მეშვეობით ეცნობებინათ საბჭოთა მთავრობისათვის ირანის ხელმძღვანელი წრეების განზრახვები საბჭოთა კავშირის მიმართ. ამასთან გამოთქმული იყო იმედი, რომ ირანის მხარე, ისევე როგორც საბჭოთა მხარე, გამოიჩენს გულწრფელ მისწრაფებას გამონახოს ირანისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობის გაუმჯობესების გზები, რათა დელეგაციამ ნამდვილად შეასრულოს „კეთილი ნების მისიის" როლი.

შემდგომში ირანის მეჯლისის არჩევნებთან დაკავშირებით სსრ კავშირის მთავრობა, ირანის მხარის სურვილის შესაბამისად, დათანხმდა, რომ ირანის მთავრობის დელეგაციის მოსკოვში ჩამოსვლა გადადებულიყო უფრო გვიანი დროისათვის, რომელიც დამატებით უნდა დაზუსტდეს.

* * *

საქართველოს სტუმრები

ბევრი რამ საინტერესო და თავშესაქცევი მოუტანა 28 თებერვალმა უცხოელ დიპლომატებს. დილით ისინი ესტუმრნენ ბავშვებს პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში. სასახლეში ჩვეულებრივი დღეა, ყველგან დიდი გამოცოცხლებაა. დიპლომატების ყურადღება მიიპყრო დარბაზმა, საიდანაც სასიამოვნო მელოდია მოისმოდა. აქ მიმდინარეობდა თვითმოქმედი საცეკვაო და საგუნდო ანსამბლის რეპეტიცია. უცხოელმა ელჩებმა, რომელთაგან ზოგიერთს მეუღლეც თან ახლდა, უარი არ თქვეს დასწრებოდნენ რეპეტიციას. შემდეგ დაიწყო კაბინეტების გაცნობა. ახსნა-განმარტებას სასახლის ნორჩი მასპინძლები იძლეოდნენ. აქ 425 სხვადასხვა წრეში 8 ათასი ბავშვი მეცადინეობს. მეოჯახეობის კაბინეტში დიპლომატებს გაუმასპინძლდნენ მოსწავლეთა ხელით დამზადებული ნამცხვრით. სტუმრებს განსაკუთრებით მოეწონათ გემრიელი ნაწარმი.

გამოეთხოვნენ რა ბავშვებს, დიპლომატებმა გულითადი მადლობა გადაუხადეს მათ. ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა რ. დვორჟაკმა თქვა, რომ თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე შესანიშნავი დაწესებულებაა, სადაც გონივრულად არის ორგანიზებული აღმზრდელობითი მუშაობა, იფურჩქნებიან ტალანტები, იზრდება მომავალ მსახიობთა, მხატვართა, ინჟინერთა, კონსტრუქტორთა შესანიშნავი პლეადა.

დანიის ელჩმა სსრ კავშირში გ. სეიდენფადენმა აღნიშნა, რომ პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე ფრიად სასარგებლო მუშაობას ახორციელებს.

...მანქანების კოლონა მიემართება საქართველოს სამხედრო გზით მცხეთისაკენ. გზის გარშემო ხეები და ბუჩქები თოვლითაა დაფარული, ირგვლივ ყოველივეს თოვლის საბურველი ახურავს. უცხოელი დიპლომატები აღტაცებას გამოთქვამენ დიდებული ბუნებით. საქართველოს ძველ დედაქალაქში ისინი გაეცნენ უძველესი არქიტექტურის შესანიშნავ ძეგლებს.

სტუმრების ცხოველი ინტერესი გამოიწვია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის შ. ი. ამირანაშვილის საუბარმა ქართველი ხალხის მდიდარი ისტორიული წარსულის შესახებ, ქართული ხუროთმოძღვრების მძლავრი განვითარების შესახებ შუა საუკუნეებში. სტუმრებმა ყურადღებით დაათვალიერეს მეთერთმეტე საუკუნის საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე მონუმენტური ნაგებობა — სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარი და სხვა ძეგლები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილისა და საგარეო საქმეთა მინისტრის მ. ი. კუჩავას თანხლებით სსრ კავშირში აკრედიტებული დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები ეწვივნენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის საკვლევ ატომურ რეაქტორს. ინსტიტუტის დირექტორმა, აკადემიკოსმა ე. ლ. ანდრონიკაშვილმა დიპლომატებს გააცნო რეაქტორის მუშაობა, ამჟამად აქ წარმოებული მეცნიერული გამოკვლევანი, უამბო მეცნიერული მუშაობის შემდგომი განვითარების პერსპექტივებზე მშვიდობიანი მიზნით ატომური გამოსხივების გამოყენების დარგში.

უცხოელ ელჩებს აცნობეს, რომ საქართველოს მეცნიერები რეაქტორში მთელ რიგ გამოკვლევებს ახორციელებენ ამიერკავკასიის მოძმე რესპუბლიკების მეცნიერების მოღვაწეებთან თანამეგობრობით. ქართველ ფიზიკოსებს კონტაქტი აქვთ დამყარებული ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთის, ფინეთის მეცნიერებთან.

სტუმრები გულთბილად გამოეთხოვნენ ფიზიკის ინსტიტუტის თანამშრომლებს. მათ კმაყოფილება გამოთქვეს რეაქტორის დათვალიერების გამო.

დიპლომატებმა ექსკურსია მოაწყეს თბილისის შამპანური ღვინოების ქარხანაში. სტუმრები მიიწვიეს ქართული შამპანურის დეგუსტაციაზე, რომელსაც მათ მაღალი შეფასება მისცეს.

საღამოს დიპლომატიური კორპუსის წევრებმა ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში მოისმინეს ოპერა „დაისი". (საქდესი).

პირველი გაფრენა ვენერისაკენ

ავტომატური საპლანეტათშორისო სადგურის მოძრაობა

1961 წლის 12 თებერვალს საბჭოთა კავშირში დაიწყო ავტომატური საპლანეტათშორისო სადგურის გაფრენა პლანეტა ვენერისაკენ მიმართული ტრაექტორიით.

მძლავრი ძრავები მიაქანებდნენ მრავალსაფეხურიან რაკეტას, ზრდიდნენ მის სიჩქარეს და დედამიწის ზედაპირს ზევით მისი გაფრენის სიმაღლეს. მართვის სისტემას რაკეტა მიჰყავდა წინასწარ გაანგარიშებული ტრაექტორიით. როცა რაკეტის სიჩქარემ პირველ კოსმოსურ სიჩქარეს მიაღწია, რაკეტას მოსცილდა მძიმე თანამგზავრი, რომელსაც მიჰქონდა კოსმოსური რაკეტა, სადაც დადგმული იყო ავტომატური საპლანეტათშორისო სადგური. თანამგზავრი მიდიოდა თითქმის წრიული ორბიტით, რომლის მინიმალური მანძილი დედამიწის ცენტრიდან იყო 6.601 კილომეტრი, მაქსიმალური მანძილი დედამიწის ცენტრიდან — 6.658 კილომეტრი და ორბიტა დახრილი იყო ეკვატორისადმი 65 გრადუსით.

თანამგზავრიდან კოსმოსური რაკეტის სტარტი მოხდა ორბიტის წინასწარ გაანგარიშებულ წერტილში, როცა ამ რაკეტის ფრენის სიჩქარე დედამიწის მიმართ მეორე კოსმოსურ სიჩქარეზე მეტი გახდა წამში 661 მეტრით და რაკეტა გავიდა სივრცის წინასწარ გაანგარიშებულ წერტილში, რაკეტის ძრავი გამოირთო და მას მოსცილდა ავტომატური საპლანეტათშორისო სადგური. დაიწყო მისი თავისუფალი ფრენა პლანეტა ვენერისაკენ მიმართული ტრაექტორიით. ამრიგად **პირველად განხორციელდა მართული აპარატის გაშვება დედამიწის ხელოვნური თანამგზავრიდან საპლანეტათშორისო ტრასაზე.**

სადგურის შემდგომი მოძრაობა ხდება დედამიწის, მზისა და პლანეტების მიზიდულობის ძალთა მოქმედებით. დედამიწის მიზიდულობის ძალები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ სადგურის მოძრაობაზე დედამიწის ცენტრიდან მილიონამდე კილომეტრ მანძილზე. მილიონი კილომეტრი რადიუსის სფეროს, რომელიც გარს აკრავს დედამიწას, პირობითად დედამიწის მოქმედების სფეროს უწოდებენ. დედამიწის მოქმედების სფეროდან გასვლის შემდეგ სადგურის მოძრაობაზე ძირითადად გავლენას ახდენს მზის მიზიდულობის ძალა და სადგური მოძრაობს იმავე კანონების მიხედვით, როგორც მზის სისტემის პლანეტები.

დედამიწის მოქმედების სფეროს შიგნით სადგური მოძრაობდა მრუდზე, რომელიც ახლოა ჰიპერბოლასთან. ეს მრუდი მდებარეობს დედამიწის ცენტრში გამავალ სიბრტყეში, რომელიც მუდამ ორიენტირებულია ვარსკვლავების მიმართ. ეს სიბრტყე უახლოვდება იმ სიბრტყეს, რომელშიც თანამგზავრი მოძრაობდა. დაშორებისას სადგურის სიჩქარე დედამიწის მიმართ თანდათან კლებულობდა. სადგურმა დედამიწის მოქმედების სფეროს საზღვარს მიაღწია 14 თებერვალს 23 საათზე მოსკოვის დროით და ამასთან მისი სიჩქარე იყო დაახლოებით 4 კილომეტრი წამში დედამიწის მიმართ.

მზის მიმართ სადგურის სიჩქარეს ვიღებთ მზის მიმართ დედამიწის სიჩქარის ვექტორისა და დედამიწის მიმართ სადგურის სიჩქარის ვექტორის შეკრებით. დედამიწის მოქმედების სფეროდან გასვლის მომენტში სიჩქარე მზის მიმართ იყო 27,7 კილომეტრი წამში.

ამის შემდეგ სადგურის მოძრაობა, ისევე როგორც პლანეტების მოძრაობა, ხდება ელიფსური ორბიტით, რომელსაც ფოკუსი აქვს მზის ცენტრში. ამ ორბიტას აქვს:

მაქსიმალური მანძილი მზიდან (მანძილი აფელიუმში) — 151 მილიონი კილომეტრი;

მინიმალური მანძილი მზიდან (მანძილი პერიჰელიუმში) — 106 მილიონი კილომეტრი;

დახრა ეკლიპტიკის სიბრტყისადმი (ე. ი. დედამიწის ორბიტის სიბრტყისადმი) — 0,5 გრადუსი.

დედამიწის, ვენერისა და სადგურის მოძრაობის სიბრტყეები მცირედ არიან დახრილი ერთმანეთისადმი.

ნახატზე გამოსახულია ავტომატური საპლანეტათშორისო სადგურის, დედამიწისა და ვენერის მოძრაობა პროექციით ეკლიპტიკის სიბრტყეზე. დედამიწისა და ვენერის მოძრაობა ხდება წრიულ ორბიტებთან ფრიად დაახლოებული ორბიტებით. დედამიწის, ვენერისა და სადგურის ერთდროული მდებარეობანი შეერთებულია სწორი ხაზებით. მზის გარშემო მოძრაობის დასაწყისში რაკეტა ჩამორჩება დედამიწას. გაზაფხულის ბუნიობის დღის ცოტა ხნის წინ მზე, სადგური და დედამიწა დაახლოებით ერთ სწორ ხაზზე იქნებიან. შემდეგ რაკეტა გაუსწრებს დედამიწას მზის გარშემო კუთხურ მოძრაობაში. მანძილი დედამიწიდან სადგურამდე ვენერისაკენ მთელი ფრენის განმავლობაში განუწყვეტლივ იმატებს და მიახლოების მომენტისათვის 70 მილიონი კილომეტრი იქნება.

სტარტის მომენტში მზის ცენტრიდან დედამიწისაკენ მიმართულებასა და ვენერასთან მიახლოების მომენტში ვენერისაკენ მიმართულებას შორის კუთხე შეადგენს 120 გრადუსს. ვენერასთან მიახლოებამდე სადგურის მოძრაობის დრო იქნება სამ თვეზე ცოტა მეტი. ვენერასთან მიახლოება მოხდება 1961 წლის 19-20 მაისს.

ვენერას ისევე, როგორც დედამიწას, აქვს მოქმედების სფერო (600 ათასი კილომეტრი რადიუსით). ამ სფეროს შიგნით ვენერის გავლენა მოძრაობაზე აღემატება მზის გავლენას. მოძრაობა ვენერის მიმართ მისი მოქმედების სფეროს შიგნით ხდება იმ ჰიპერბოლასთან მიახლოებული ტრაექტორიით, რომელსაც ფოკუსი ვენერის ცენტრში აქვს.

ორბიტის გაზომვებიდან მიღებული მონაცემების გაანგარიშება გვიჩვენებს, რომ ავტომატური საპლანეტათშორისო სადგური ღრმად შეიჭრება ვენერის მოქმედების სფეროში. სადგურის მინიმალური მანძილი ვენერიდან იმ ტრაექტორიით მოძრაობის დროს, რომლითაც იგი ამჟამად მოძრაობს, უნდა იყოს 100 ათას კილომეტრზე ნაკლები, როცა საერთოდ გავლილი იქნება 270 მილიონი კილომეტრი გზა. ეს მოწმობს, რომ სადგური დიდი სიზუსტით არის გაყვანილი მის ტრაექტორიაზე.

საპლანეტათშორისო სადგური მნათი წერტილი რომ იყოს, დედამიწიდან შეიძლებოდა დაკვირვება სადგურის ადგილგადანაცვლებისა უძრავი ვარსკვლავების ფონზე. მისი გზა ცის სფეროზე წარმოდგენილია ვარსკვლავიერ რუკაზე.

მოძრაობის დასაწყისში სადგურის ადგილგადანაცვლება ვარსკვლავების მიმართ სწრაფი იყო. დედამიწის მოქმედების სფეროდან გასვლის დროს სადგური იმყოფებოდა ცის თაღის იმ ნაწილში, რომელიც მდებარეობს ვეშაპისა და თევზების თანავარსკვლავედთა საზღვარზე ბეტა ვერძის, ალფა პეგასისა და ბეტა ვეშაპის ვარსკვლავებით შედგენილი სამკუთხედის ცენტრში. ამ დროისათვის ცის თაღში სადგურის კუთხური ადგილგადანაცვლება უკვე ძალიან ნელი იყო. ამ უბანზე სადგური დედამიწის მიმართ მოძრაობს დაახლოებით რადიუსის გაყოლებით.

შემდეგში სადგურის მოძრაობა ცის სფეროში, როგორც რუკიდან ჩანს, პლანეტების მოძრაობას ჰგავს. აპრილის დამდეგამდე სადგური იქნება თევზების თანავარსკვლავედში, მისი ადგილგადანაცვლება იწარმოებს ეგრეთწოდებული უკუმოძრაობით. აპრილის დამდეგს სადგური ცის სფეროში ადგილგადანაცვლებას დაიწყებს პირდაპირი მოძრაობით. იმ წერტილს, როცა უკუმოძრაობა პირდაპირ მოძრაობაში გადადის, პირისპირ დგომის წერტილი ეწოდება. ვარსკვლავებს შორის პირდაპირი მოძრაობა გაგრძელდება მანამდე, სანამ სადგური მიუახლოვდებოდეს ვენერას, რაც მოხდება თევზების თანავარსკვლავედის ეფსილონ ვარსკვლავის ახლოს.

ავტომატური სადგურის სტარტის მომენტში ვენერა იმყოფებოდა თევზების თანავარსკვლავედში, თანავარსკვლავედებს შორის ადგილს ინაცვლებდა პირდაპირი მოძრაობით, პირდაპირი მოძრაობა თანდათანობით ნელდება, და მარტის დამლევისათვის დადგება ვენერის დგომა, დგომის შემდეგ დაიწყება ვენერის უკუმოძრაობა, რომელიც გაგრძელდება 1961 წლის მაისის დამდეგამდე, ხოლო შემდეგ იგი შეიცვლება პირდაპირი მოძრაობით, ვენერის პირდაპირი მოძრაობის ამ უბანზე მოხდება სადგურის მიახლოება პლანეტასთან.

შემდეგ ცხრილში მოყვანილია დედამიწიდან, ვენერიდან და მზიდან ავტომატური საპლანეტათშორისო სადგურის მანძილთა წინასწარი დამრგვალებული მნიშვნელობანი და პირდაპირი აღვლენისა და გადახრილობის კუთხური მნიშვნელობანი სტარტიდან ყოველი ათი დღეღამის შემდეგ.

ნომრები წერტილებისა ნახატებზე	თარიღი (მსოფლიო დროით ნოლ საათზე)	სადგურის მანძილი დედამიწიდან (მლნ. კმ)	სადგურის მანძილი ვენერიდან (მლნ. კმ)	სადგურის მანძილი მზიდან (მლნ. კმ)	სადგურის პირდაპირი ასვლა საათებში (h) და წუთებში (m)	სადგურის დახრილობა
1	22 თებერვალი	3,4	74	145	0h27m	—1°,0
2	4 მარტი	6,9	60	142	0h22m	—1°,5
3	14 მარტი	11	48	138	0h16m	—2°,0
4	24 მარტი	15	36	134	0h10m	—2°,25
5	3 აპრილი	21	27	129	0h08m	—2°,25
6	13 აპრილი	28	19	124	0h10m	—1°,25
7	23 აპრილი	37	13	119	0h18m	0°,0
8	3 მაისი	47	7,5	115	0h32m	2°,0
9	13 მაისი	59	3,1	111	0h51m	4°,5
10	19—20 მაისი	70	0,1-ზე ნაკლები	109	1h 09m	6°,5


დედამიწის მდებარეობა ვენერასთან სადგურის მიახლოების მომენტში
დედამიწის მდებარეობა სტარტის მომენტში
სადგურის ორბიტის პროექციის ხაზი
ვენერის მდებარეობა ავტომატურ სადგურთან მიახლოების მომენტში
ვენერის მდებარეობა სტარტის მომენტში
მზე
ვენერის ორბიტა
დედამიწის ორბიტა
მიმართულება გაზაფხულის ბუნიობის წერტილისაკენ
0
1
2
3
4
5
6
7
8
9
10

ავტომატური საპლანეტათშორისო სადგურის მოძრაობა მზის მიმართ (პროექცია დედამიწის ორბიტის სიბრტყეზე).



ავტომატური საპლანეტათშორისო სადგურის (მთლიანი ხაზი) და ვენერას (წყვეტილი ხაზი) ხილული მოძრაობა ცის სფეროში. ციფრებით აღნიშნულია სადგურისა და ვენერას მდებარეობა ფრენის ყოველი ათი დღეღამის შემდეგ. ვერტიკალურ ღერძზე აღნიშნულია დახრილობანი გრადუსებით, ჰორიზონტალურ ღერძზე — პირდაპირი აღვლენა საათობით.

ტრაექტორიის ამორჩევა

ვენერისაკენ გაფრენის განსახორციელებლად საჭირო იყო ამორჩევა ფრენის ტრაექტორიისა, რომელიც დააკმაყოფილებდა მთელ რიგ პირობებს. თუ დასახულია რაკეტის სტარტის თარიღი და ვენერასთან სადგურის მიახლოების თარიღი, სადგურის ორბიტა მზის სისტემაში, დედამიწის მოქმედების სფეროს გარეთ, განისაზღვრება ცალსახად. ამასთან სადგურს დედამიწის სფეროს მოქმედებიდან გასვლისას უნდა ჰქონდეს როგორც ოდენობით, ისე მიმართულებით სავსებით გარკვეული სიჩქარე. მაგრამ თუ სტარტისა და მიახლოების თარიღები სწორად არ არის ამორჩეული, საჭირო სიჩქარის ოდენობა იმდენად დიდი იქნება, რომ ძალიან მცირე წონის სადგურის გაქანება განუხორციელებელი იქნება ტექნიკურად შესაძლებელი ყველაზე მძლავრი რაკეტების დახმარებითაც კი. ამიტომ სტარტისა და მიახლოების თარიღების ამორჩევა წარმოებს ისე, რომ დედამიწის მოქმედების სფეროდან სადგურის გასვლის საჭირო სიჩქარე რაც შეიძლება ნაკლები იყოს. ამასთან იმ სიჩქარის ოდენობა, რომელიც მატარებელმა რაკეტამ უნდა მისცეს სადგურს გაქანების უბანზე, აგრეთვე მინიმალური იქნება.

არსებითი მნიშვნელობა აქვს მატარებელი რაკეტის მიერ სადგურის გაქანების მეთოდს. რაკეტის ყველა საფეხურის განუწყვეტელი მუშაობის დროს სასარგებლო ტვირთის წონა დამოკიდებულია არა მარტო იმ სიჩქარის ოდენობაზე, რომელიც უნდა მიეცეს სადგურს გაქანების უბნის ბოლოს, არამედ ჰორიზონტის მიმართ სიჩქარის დახრის კუთხეზეც. თუ სიჩქარის დახრის კუთხეები დიდია, დედამიწის მიზიდულობის ძალა ხელს უშლის გაქანებას. ამიტომ საჭირო სიჩქარის მიცემა უფრო ადვილია ჰორიზონტალური მიმართულებით, ხოლო დახრის დიდმა კუთხეებმა შეიძლება გამოიწვიოს სათბობის ზედმეტი ხარჯვა და დიდი დანაკარგები ავტომატური საპლანეტათშორისო სადგურის წონაში. იმისათვის, რომ სადგური გავიდეს დედამიწის მოქმედების სფეროდან ისე, რომ ჰქონდეს სიჩქარე საჭირო მიმართულებით, განუწყვეტელი გაქანების დროს გაქანების უბნის ბოლოში შეიძლება საჭირო შეიქნეს ჰორიზონტისაკენ მკვეთრად დახრილი სიჩქარე.

ეს შეიძლება თავიდან ავიცილოთ, თუ გამოვიყენებთ გაქანების მეთოდს თანამგზავრის ორბიტაზე საშუალედო გასვლით. თანამგზავრი, რომელსაც მიაქვს კოსმოსური რაკეტა, წრიულ ორბიტაზე მატარებელ რაკეტას გაჰყავს მინიმალური დანაკარგებით. გაქანება კოსმოსური რაკეტისა, რომელიც სტარტს იღებს თანამგზავრიდან, წარმოებს თითქმის ჰორიზონტალური მიმართულებით. თანამგზავრის ორბიტის სიბრტყის, თანამგზავრიდან სტარტის ადგილისა და დროის სათანადოდ ამორჩევით შეიძლება უზრუნველვყოთ სადგურის გასვლა დედამიწის მოქმედების სფეროდან სიჩქარის საჭირო მიმართულებით.

მძლავრმა მატარებელმა რაკეტამ და თანამგზავრიდან სტარტის გამოყენებამ შესაძლებელი გახადა საპლანეტათშორისო ორბიტაზე ვენერისაკენ 643,5 კილოგრამი წონის ავტომატური სადგურის გაყვანა.

თანამგზავრიდან სტარტის გამოყენებით ხელსაყრელია კოსმოსური აპარატების გაქანების განხორციელება მათი გაშვებისას არა მარტო ვენერისაკენ, არამედ სულ სხვადასხვა კოსმოსურ ტრასებზე.

როგორც უკვე ითქვა, სტარტისა და ვენერასთან მიახლოების თარიღების შერჩევა წარმოებს ისე, რომ დედამიწის მოქმედების სფეროდან სადგურის გასვლის სიჩქარის ოდენობა იყოს რაც შეიძლება მცირე. ეს განსაზღვრავს სტარტისა და მიახლოების თარიღების მთელ რიგ დიაპაზონებს, რომლებიც ხელსაყრელია რაკეტის ენერგეტიკის თვალსაზრისით, სტარტის თარიღების ხელსაყრელ ინტერვალებს შეადგენს 1-2 თვე და ისინი პერიოდულად მეორდება დაახლოებით 19 თვის შემდეგ. ერთ-ერთი ასეთი ინტერვალი ხვდება 1960 წლის დამლევს — 1961 წლის დასაწყისს. სწორედ ეს იყო გამოყენებული 12 თებერვალს გაშვების დროს.

დედამიწის მოქმედების სფეროდან ავტომატური სადგური გადის მზის გარშემო პერიოდული მოძრაობის ელიფსურ ორბიტაზე. ამასთან დაკავშირებით ენერგეტიკულად ხელსაყრელი სხვადასხვა ტრაექტორიებისათვის ფრენის დრო ვენერასთან მიახლოებამდე შეიძლება ძლიერ განსხვავდებოდეს. არსებობს ტრაექტორიები, რომლებით ფრენის დროს ვენერასთან სადგურის შეხვედრა ხდება მზის გარშემო სადგურის შემობრუნების პირველ ნახევარში, შემობრუნების მეორე ნახევარში და სხვ.

12 თებერვალს გასაშვებად ამორჩეულია ტრაექტორია, რომლის დროს შეხვედრა ხდება შემობრუნების პირველ ნახევარში. მეორე ტიპის ტრაექტორიებს ამასთან შედარებით ზოგიერთი ნაკლი აქვთ: არსებითად დიდდება ფრენის დრო, ვენერასთან მიახლოებისას არსებითად იზრდება გადახრის ოდენობის დამოკიდებულება შეცდომებზე გაქანების უბნის ბოლოში, გარდა ამისა, მანძილი დედამიწიდან ვენერამდე პლანეტასთან მიახლოების მომენტში ამ ტრაექტორიებისათვის, როგორც წესი, გაცილებით მეტი იქნება, ვიდრე რეალიზებულ შემთხვევაში.

ავტომატურმა სადგურმა პლანეტასთან უშუალოდ ახლოს რომ გაიაროს, საჭირო იყო მისი გაყვანა გაანგარიშებულ ტრაექტორიაზე დიდი სიზუსტით. გაქანების უბნის ბოლოში სადგურისათვის მიცემული სიჩქარის ოდენობაში მეტად მცირე გადახრების დროსაც კი იგი გაივლის მნიშვნელოვან მანძილზე პლანეტიდან. სიჩქარის ოდენობის განსაზღვრისას წამში 1-3 მეტრით შეცდომას, როცა სრული სიჩქარე უდრის წამში 11.000 მეტრს, და სიჩქარის მიმართულებაში 0,1-0,3 გრადუსით შეცდომას შეიძლება მოჰყვეს ვენერიდან სადგურის მინიმალური მანძილის შეცვლა 100 ათასი კილომეტრით. გადახრის ასეთსავე ოდენობას იძლევა აგრეთვე რაკეტის სტარტის დროს შეცდომა 1 წუთით.

ავტომატური საპლანეტათშორისო სადგურის ტრაექტორიის გადახრები ვენერიდან შეიძლება აგრეთვე მოხდეს იმის გამო, რომ ვენერის მდებარეობა ცნობილია მხოლოდ განსაზღვრული სიზუსტით. ამის გამო ვენერიდან ავტომატური საპლანეტათშორისო სადგურის ორბიტის გადახრის გაანგარიშებაში შესაძლებელია შეცდომები, რომლებიც შეიძლება პლანეტის რადიუსსაც კი აღემატებოდეს. ამ შეცდომის ძირითადი წყარო ამ მიზნებისათვის არასაკმაო სიზუსტე იმ ასტრონომიული ერთეულის (დედამიწიდან მზემდე საშუალო მანძილის) გაზომვისა, რომელიც მზის სისტემის მასშტაბს განსაზღვრავს.

ასტრონომიული ერთეულის უფრო ზუსტი ცოდნა უაღრესად მნიშვნელოვანია კოსმოსური ფრენისათვის.

ზემოთ მოყვანილი მიზეზებით იმის უზრუნველსაყოფად, რომ კოსმოსურმა აპარატმა პლანეტას მიაღწიოს, საჭიროა ფრენის ტრაექტორიის ფრიად ზუსტი გაზომვები, აგრეთვე შესაძლებლობა მოძრაობის მცირე კორექციისა პლანეტისაკენ ფრენის დროს სპეციალურ მოწყობილობათა საშუალებით.

ავტომატური საპლანეტათშორისო სადგურის ფრენის დიდ უბანზე ტრაექტორიის საკმაოდ ზუსტი გაზომვებისას შეიძლება მოვახდინოთ ასტრონომიული ერთეულის დაზუსტება.

საზომ-სამართავი კომპლექსი

ავტომატური საპლანეტათშორისო სადგურის სამართავად, მისი ორბიტის განსასაზღვრავად და ასეულ მილიონ კილომეტრამდე მანძილზე სადგურთან ორმხრივი კავშირის უზრუნველსაყოფად შეიქმნა ავტომატიზებული საზომი რადიოტექნიკური კომპლექსი.

კომპლექსის შექმნამ საბჭოთა მეცნიერებსა და ინჟინრებს დაუსახა მთელი რიგი სერიოზული პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია უდიდეს მანძილზე კავშირის უზრუნველყოფასთან, მაღალ მოთხოვნებთან კოორდინატების განსაზღვრის სიზუსტისადმი და იმისადმი, რომ აპარატურის მუშაობა საიმედო იყოს ხანგრძლივი დროის განმავლობაში.

კოსმოსური რაკეტის ფრენის მთელი ტრაექტორია შეიძლება პირობითად გავყოთ სამ უბნად: დედამიწის მძიმე ხელოვნური თანამგზავრის ფრენის უბანი; მძიმე თანამგზავრიდან კოსმოსური რაკეტის სტარტის უბანი და მიზიდულობის ძალების მოქმედებით ავტომატური საპლანეტათშორისო სადგურის ვენერისაკენ მოძრაობის უბანი.

მძიმე თანამგზავრის ტრაექტორიის ელემენტების გაზომვა ხორციელდებოდა საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მდებარე სპეციალური საშუალებებით. ცნობებს თანამგზავრის კვანძებისა და აგრეგატების მუშაობის შესახებ იღებდნენ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე, აგრეთვე ოკეანეში სპეციალურ გემებზე დადგმული რადიოტელემეტრიული სადგურები.

მძიმე თანამგზავრიდან კოსმოსური რაკეტის გაშვებას კონტროლს უწევდნენ ტელემეტრიული სისტემები.

ავტომატური საპლანეტათშორისო სადგურის მოცილების შემდეგ მუშაობდა დედამიწისპირა უბნის საზომი კომპლექსი ორბიტალურ და ტელემეტრიულ გაზომვათა საწარმოებლად. დედამიწისპირა უბნის თვითეულ საზომ პუნქტზე დადგმულია სპეციალური რადიოტექნიკური გადამცემი და მიმღებ-მარეგისტრირებელი მოწყობილობანი, პარაბოლური ანტენები პროგრამული დამიზნების ხელსაწყოებით.

ფაქტიური ორბიტის განსაზღვრას, როცა ავტომატური საპლანეტათშორისო სადგური დედამიწას დაშორებულია 100 ათას კილომეტრზე მეტი მანძილით, ახორციელებენ შორი კოსმოსური რადიოკავშირის ცენტრის რადიოტექნიკური საშუალებანი. იგივე ცენტრი აწარმოებს ტელემეტრიული ინფორმაციის მიღებას და საპლანეტათშორისო სადგურის აპარატურის მართვას მთელი ფრენის მანძილზე. საგანკარგულებო რადიოხაზით ჩაირთვება და გამოირთვება ავტომატური საპლანეტათშორისო სადგურის შესაბამისი ხელსაწყოები, იცვლება ტელემეტრიული ინფორმაციის გადმოცემის სიჩქარე, გადაირთვება კვების წყაროები და ა. შ.

ავტომატური საპლანეტათშორისო სადგურის ფრენის შორ უბანზე ყველა საშუალების მუშაობა წარმოებს სპეციალური პროგრამით, რომელიც განსაზღვრავს კავშირის სეანსების ხანგრძლივობას, მათ პერიოდულობას და აპარატურის მუშაობის რეჟიმებს.

დიდ მანძილებზე რადიოსიგნალების მისაღებად გამოყენებულია ვიწროზოლიანი მცირეხმაურიანი მიმღები მოწყობილობანი. ეს იწვევს იმის საჭიროებას, რომ საკმაოდ ზუსტად გაანგარიშებულ იქნას მიღებულ და გამოსხივებულ სიხშირეთა მნიშვნელობანი დოპლერის ეფექტის გათვალისწინებით. საპლანეტათშორისო სადგურზე და საზომ პუნქტზე მყოფ მიმღებთა ვიწროზოლიანი ფილტრების შემოსასვლელზე მუდმივი სიხშირის დასაცავად გამოსხივებულ და მიღებულ სიხშირეებში შეაქვთ დოპლერის საპროგნოზო შესწორება.

საპლანეტათშორისო სადგურის ისეთი მანძილებით დაშორებისას, რომლებიც ათეულ და ასეულ მილიონობით კილომეტრით განიზომება, იმ სიგნალის სიმძლავრე, რომელიც დედამიწას აღწევს, მეტისმეტად მცირეა. მაგალითად, 70 მილიონ კილომეტრ სიშორისას დედამიწის ზედაპირის ერთ კვადრატულ მეტრზე სულ 10-22 ვატი მოვა, ესოდენ მცირე სიგნალების მისაღებად ზემგრძნობიარე მიმღებთა გამოყენებისასაც კი საჭიროა დიდი ფართობის ანტენები.

შორი კოსმოსური რადიოკავშირის ცენტრის პუნქტებში შექმნილია დიდი ანტენური ნაგებობანი, რომლებიც საშუალებას იძლევიან მიღებულ იქნას რადიოსიგნალები დედამიწას უდიდესი მანძილებით დაშორებული წყაროებიდან.

ანტენა შეიძლება დამიზნებულ იქნას ცის სფეროს ყოველ წერტილზე რამდენიმე კუთხური მინუტის სიზუსტით. დამიზნების პროგრამები ავტომატურად შეჰყავთ ელექტრონულ სათვლელ მანქანაში, რომელიც ანტენებს მართავს.

გაზომვათა ყველა მონაცემი გადმოიცემა ავტომატური ხაზით საკოორდინაციო-გამომთვლელ ცენტრში, სადაც წარმოებს ტრაექტორიულ გაზომვათა დამუშავება, სწრაფმოქმედი ელექტრონული გამოსათვლელი მანქანების საშუალებით ხორციელდება ავტომატური საპლანეტათშორისო სადგურის მოძრაობის პროგნოზირება და ხდება ანტენების დამიზნების პროგრამების გაანგარიშება, საკოორდინაციო-გამომთვლელი ცენტრი ახორციელებს დედამიწაზე ყველა საზომი სამსახურის ხელმძღვანელობას დასახული პროგრამით.

სფერული ალამი, ხუთკუთხა ელემენტები და სამახსოვრო მედლის უკანა მხარე.



ავტომატური საპლანეტათშორისო სადგურის საერთო ხედი. (სქემა): 1. მანჭვალისებრი ანტენა. 2. თბური გადამწოდები. 3. მზის ბატარიები. 4. პარაბოლური ანტენა. 5. მზესა და ვარსკვლავზე ზუსტი ორიენტაციის გადამწოდი. 6. მცირედმიმართული ანტენა. 7. დამუხტული ნაწილაკების საჭერი. 8. მაგნიტომეტრის გადამწოდები. 9. დედამიწაზე ორიენტაციის გადამწოდი.



ავტომატური საპლანეტათშორისო სადგური სამონტაჟო სადგარზე (ხედი წინიდან, მანჭვალისებრი ანტენა დადგმულია ნახევრადგახსნილ მდგომარეობაში).

როგორ არის მოწყობილი სადგური

ავტომატური საპლანეტათშორისო სადგური წარმოადგენს აპარატს, რომელიც აღჭურვილია რადიოტექნიკური და მეცნიერული აპარატურის კომპლექსით, ორიენტაციისა და მართვის სისტემით, პროგრამული მოწყობილობებით, თბური რეჟიმის რეგულირების სისტემით, კვების წყაროებით,

კონსტრუქციულად ავტომატური საპლანეტათშორისო სადგური შესრულებულია ჰერმეტიული კორპუსის სახით, რომელიც შედგება ორი ფსკერის მქონე ცილინდრული ნაწილისაგან. სადგურის ჰერმეტიული კორპუსის შიგნით ხელსაწყოთა ჩარჩოზე დადგმულია ბორტის აპარატურა და ქიმიური ბატარეების ბლოკები. კორპუსის გარეთ განლაგებულია მეცნიერული აპარატურის გადამწოდთა ნაწილი, მზის ბატარეების ორი პანელი, თერმორეგულირების სისტემის ჟალუზები და ორიენტაციის სისტემის ელემენტები,

მზის ბატარეების ერთ-ერთ პანელზე მიმაგრებულია თბურ გადამწოდთა ბლოკი სხვადასხვა საფართა ოპტიკური კოეფიციენტების ცვლილებათა გამოსაკვლევად საპლანეტათშორისო სივრცეში მზისაგან სხვადასხვა მანძილზე ხანგრძლივი ყოფნის პირობებში, გარდა ამისა, სადგურის კორპუსის გარეთ დადგმულია ოთხი ანტენა, ერთ-ერთ მათგანს — მახვილად მიმართულს — აქვს ორ მეტრამდე დიამეტრის პარაბოლოიდის ფორმა, და იგი უზრუნველყოფს კავშირს საპლანეტათშორისო სადგურთან დედამიწიდან დიდ მანძილებზე და დიდი მოცულობის ინფორმაციის გადმოცემას დროის მცირე მონაკვეთში.

მზის ბატარიის პანელზე დადგმულ ორ ჯვრისებრ ანტენას მცირედმიმართული დიაგრამა აქვს და მათი დანიშნულებაა კავშირი დედამიწიდან საშუალო მანძილებზე.

ყველგან მიმართული ანტენა — 2,4 მეტრი სიგრძის მანჭვალი — განკუთვნილია ინფორმაციის გადმოცემისა და ტრაექტორიის პარამეტრების განსაზღვრისათვის დედამიწისპირა უბანზე.

სადგურის ყველაზე დიდი ზომებია (ანტენებისა და მზის ბატარეების ჩაუთვლელად) სიგრძეზე — 2.035 მილიმეტრი და დიამეტრზე — 1.050 მილიმეტრი.

ავტომატური საპლანეტათშორისო სადგურის წონა 643,5 კილოგრამს შეადგენს.

მზის ბატარეების პანელები, პარაბოლური და მანჭვალისებრი ანტენები, სანამ სადგური კოსმოსურ რაკეტას მოსცილდებოდეს, დაკეცილ მდგომარეობაშია და იხსნება მოცილებისთანავე, გარდა პარაბოლური ანტენისა. ეს უკანასკნელი გაიხსნება ვენერასთან მიახლოებისას.

თერმორეგულირების სისტემის ჟალუზები, რომლებიც დადგმულია ცილინდრულ ნაწილზე, ბრუნვისას ხსნიან და ხურავენ რადიაციულ ზედაპირს, შესაბამისად ზრდიან ან ამცირებენ იმ სითბოს არინებას, რომელიც ბორტის აპარატურის მუშაობისას გამოიყოფა, ჟალუზებისა და კორპუსის შიგნით დადგმული ვენტილატორების მუშაობის მართვა ხორციელდება ბორტის ავტონომიური პროგრამული მოწყობილობის საშუალებით, რომელსაც აქვს იმ ადგილებში დადგმული ტემპერატურული გადამწოდების სისტემა, რომლებიც ყველაზე მეტ გადამეტხურებას ან გადამეტცივებას განიცდიან. ამ გზით წყდება ამოცანა ბორტის აპარატურის ნორმალური ტემპერატურული რეჟიმის უზრუნველყოფისა დედამიწიდან ვენერისაკენ ფრენის მთელ ტრაექტორიაზე სადგურის მიახლოებისას მზესთან 110 მილიონამდე კილომეტრ მანძილზე, ე. ი. მზის გამოსხივების სიმძლავრის ერთიორად და უფრო მეტად გადიდებისას.

მზის ბატარეების ორი პანელი, რომლებსაც მუდმივი ორიენტაცია აქვთ მზეზე, უზრუნველყოფენ დენის ქიმიური წყაროების განუწყვეტლივ დამუხტვას ავტომატური საპლანეტათშორისო სადგურის ფრენის მთელ ტრაექტორიაზე და უზრუნველყოფენ ბორტის ყველა სისტემისა და აპარატურის ენერგოკვებას.

ავტომატური საპლანეტათშორისო სადგურის რადიოტექნიკური კომპლექსის დანიშნულებაა გადაწყვიტოს შემდეგი ამოცანები:

— დედამიწის მიმართ სადგურის მოძრაობის პარამეტრების გაზომვა;

— იმ გაზომვათა შედეგების დედამიწაზე გადმოცემა, რომლებსაც სადგურის ბორტზე აწარმოებს მეცნიერული აპარატურა;

— ბორტის ხელსაწყოთა მუშაობის შესახებ, ობიექტის შიგნით და მის კორპუსზე წნევისა და ტემპერატურის შესახებ ინფორმაციის გადმოცემა დედამიწაზე;

— სადგურის ბორტზე აპარატურის მუშაობის მართვის რადიოგანკარგულებათა მიღება დედამიწიდან.

სადგურის ბორტის აპარატურის მუშაობის მართვა წარმოებს დედამიწაზე არსებული პუნქტებიდან რადიოხაზით განკარგულებათა გადაცემის გზით, აგრეთვე ბორტის ავტონომიური პროგრამული მოწყობილობების მიერ.

ავტომატური საპლანეტათშორისო სადგურის ორიენტაციის სისტემის დანიშნულებაა ტრაექტორიაზე ფრენის პერიოდში გადაწყვიტოს შემდეგი ამოცანები:

— თავიდან აიცილოს სადგურის ნებსითი ბრუნვა, რაც მიღებულია კოსმოსური რაკეტისაგან მოცილებისას, რომელმაც სტარტი აიღო დედამიწის მძიმე ხელოვნური თანამგზავრიდან;

— უზრუნველყოს მზის ძებნა სადგურის ყოველი მდებარეობიდან და განახორციელოს მზის ბატარეების მზისაკენ ორიენტაცია ფრენის მთელი დროის განმავლობაში;

— უზრუნველყოს სადგურის ყოველი საჭირო სივრცობრივი შებრუნება და განახორციელოს სადგურის სტაბილიზაცია;

— უზრუნველყოს ვენერის ახლოს მახვილად მიმართული (პარაბოლური) ანტენის ორიენტაცია დედამიწისაკენ მეცნიერული ინფორმაციისა და ბორტის აპარატურის მუშაობის შესახებ ცნობების დედამიწაზე გადმოცემის უფრო მაღალი სიჩქარის მისაღებად.

ამჟამად გაზომვებს აწარმოებენ ხელსაწყოები, რომელთა დანიშნულებაა კოსმოსური სივრცის გამოკვლევა პლანეტებისაგან შორს. მათ შორის არის აპარატურა, რომელიც აწარმოებს:

— კოსმოსური სხივების გაზომვას;

— მაგნიტური ველების გაზომვას რამდენიმე ერთეული გამადან რამდენიმე ათეულ გამამდე დიაპაზონით;

— საპლანეტათშორისო გაზის დამუხტულ ნაწილაკთა და მზის კორპუსკულურ დინებათა გაზომვას;

— მიკრომეტეორების რეგისტრაციას.

ავტომატური საპლანეტათშორისო სადგურის ბორტზეა ალამი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახელმწიფო გერბის გამოსახულებით.

სფერული ალმის შიგნით მოთავსებულია სამახსოვრო მედალი სსრ კავშირის სახელმწიფო გერბის გამოსახულებით.

პლანეტების ურთიერთ განლაგება შეესაბამება იმ მომენტს, როცა ავტომატური საპლანეტათშორისო სადგური პლანეტა ვენერას მიუახლოვდება. სფერული ალამი მოთავსებულია სპეციალურ დამცავ გარსში, რომლის გარეთა ზედაპირს ქმნის ხუთკუთხა ელემენტები უჟანგავი ფოლადისაგან სსრ კავშირის სახელმწიფო გერბის გამოსახულებით და წარწერით „დედამიწა—ვენერა", „1961".

* * *

პლანეტა ვენერისაკენ ავტომატური საპლანეტათშორისო სადგურის გაშვება მეცნიერებას უსახავს კოსმოსური სივრცისა და მზის სისტემის პლანეტების უშუალოდ შესწავლის ფართო პერსპექტივებს.

გაკვლეულია პირველი საპლანეტათშორისო ტრასა.

„პრავდა", 26 თებერვალი.

(იბეჭდება შემოკლებით).

საერთაშორისო ცხოვრება

დეპეშები, ცნობები, მიმოხილვა

მიტინგი ბჰილაიში

მადრასი, 27 თებერვალი, (საქდესი). გუშინ დილით ბჰილაიში გაიმართა ხალხმრავალი მიტინგი, რომელიც მიეძღვნა ობელისკის საძირკვლის ჩაყრას საბჭოთა და ინდოელი მუშებისა და ინჟინრების თანამშრომლობის აღსანიშნავად, რომლებიც აშენებდნენ ბჰილაის მეტალურგიულ ქარხანას.

ამ ღირსშესანიშნავი ამბისადმი მიძღვნილ საზეიმო ცერემონიაზე მოვიდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ნ. კოსიგინი და მისი თანმხლები პირები.

ობელისკის საძირკვლის პირველი ქვა ტაშის გრიალში ჩადო ა. ნ. კოსიგინმა. ობელისკზე ამოიკვეთება შემდეგი სიტყვები:

„დაე ჩვენი მეგობრობა მტკიცე იყოს როგორც ლითონი, რომელსაც ბჰილაის ქარხანა ადნობს.

ნ. ს. ხრუშჩოვი.

1959 წლის 5 თებერვალი".

„ოცნება სინამდვილე ხდება: ბჰილაი ერთ-ერთი ის ადგილია, რომელიც აღიბეჭდა ერის შეგნებაში, როგორც ინდოეთის ახალი ეპოქის მნიშვნელობით აღსავსე სიმბოლო,

... ვიზიტისა და პირადი ნაცნობობის შედეგად შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ დიდი ხნის ოცნება იძენს ფორმას და ხდება სინამდვილე — მომავალი ინდოეთის სიმბოლო და დროშა.

ჯავაჰარლალ ნერუ.

1957 წლის 16 დეკემბერი",

აქ, მოედანზე ქარხნის წინ, გაიმართა მიტინგი, რომელზეც სიტყვები წარმოთქვეს ა. ნ. კოსიგინმა, ქარხნის გენერალურმა დირექტორმა ნ. ჩ. შრივასტავამ და ქარხნის მთავარმა საბჭოთა ინჟინერმა ნ. ვ. გოლდინმა.

მიტინგის შემდეგ ა. ნ. კოსიგინი და მისი თანმხლები პირები გაეცნენ ბჰილაის მეტალურგიული ქარხნის მუშაობას და დაათვალიერეს კოქსქიმიური, საბრძმედე, მარტენისა და საგლინავი საამქროები,

უფრო ადრე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ნ. კოსიგინი და მისი თანმხლები პირები იყვნენ ბჰილაი-ნაგარას რაიონში „მეგობრობის ბაღში", რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ გაშენდა საბჭოთა და ინდოელი ხალხების მეგობრობის აღსანიშნავად. საბჭოთა სტუმრებმა დარგეს მანგოს ხეები,

ბომბეი, 28 თებერვალი, (საქდესი). დღეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ნ. კოსიგინი, რომელიც ინდოეთში მოგზაურობს, და მისი თანმხლები პირები ჩამოვიდნენ ბომბეიში, რომელიც ინდოეთის მეორე ქალაქია მოსახლეობის რაოდენობით და დიდი საზღვაო ნავსადგურია ინდოეთის დასავლეთ სანაპიროზე,

შეხვედრა სტეინინგის მახლობლად

ლონდონი, 27 თებერვალი. (საქდესი). „უისტონ-ჰაუზში" პატარა ქალაქ სტეინინგის (სუსექსის საგრაფო) მახლობლად დამთავრდა ინგლისისა და საბჭოთა საზოგადოებრიობის შეხვედრა, რომელიც მიეძღვნა მშვიდობიანი თანაარსებობის პრობლემათა განხილვას. ამ კონფერენციაზე, რომელიც 23-26 თებერვალს მიმდინარეობდა, საბჭოთა დელეგაციას მეთაურობდა „სსრ კავშირ-დიდი ბრიტანეთის" საზოგადოების პრეზიდენტი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ა. სურკოვი, მის შემადგენლობაში შედიოდნენ თვალსაჩინო საბჭოთა საზოგადო მოღვაწეები, მეცნიერები, ჟურნალისტები, მათ შორის ა. აჯუბეი, გ. ჟუკოვი, გ. ბესედინი, ვ. მაევსკი, ბ. ვაგანოვი, ბ. ნიკიფოროვი და სხვები. ინგლისის მხრივ კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს პარლამენტის წევრმა კონსერვატორმა ფ. მაკლინმა, პარლამენტის წევრებმა ლეიბორისტებმა დ. პილმა, დ. სტრეჩიმ, ქ. მეიჰიუმ, დიდი ბრიტანეთის ყოფილმა ელჩმა საბჭოთა კავშირში უ. ჰეიტერმა, თვალსაჩინო ინგლისელმა მეცნიერმა პროფესორმა პ. ბლეკეტმა, გაზეთ „ტაიმსის" უცხოეთის განყოფილების რედაქტორმა ი. მაკდონალდმა და სხვებმა.

კონფერენციამ განიხილა საკითხები, რომლებიც დიდად აინტერესებს საბჭოთა და ინგლისის საზოგადოებრიობას: სხვადასხვა სოციალური სისტემის სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობა, საყოველთაო და სრული განიარაღება, თერმოატომგულის იარაღის აკრძალვა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის როლი და ადგილი თანამედროვეობის აქტუალური საკითხების გადაჭრაში, ვაჭრობისა და ეკონომიური თანამშრომლობის, კულტურული და მეცნიერული გაცვლის საკითხები დიდ ბრიტანეთსა და საბჭოთა კავშირს შორის. ყველა ამ საკითხის განხილვა მიმდინარეობდა ორივე მხარის თვალსაზრისთა ურთიერთპატივისცემის სულისკვეთებით.

შეხვედრის მონაწილეთა მიერ გამოქვეყნებულ კომუნიკეში ნათქვამია, რომ „ორივე მხარე ერთსულოვნად უჭერს მხარს მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპებს". კომუნიკე ხაზს უსვამს იმას, რომ საჭიროა ორივე ქვეყნის მთავრობებმა განახორციელონ ენერგიული ღონისძიებანი საერთაშორისო ვითარების ძირეული გაუმჯობესებისა და საყოველთაო და სრული განიარაღების პრობლემების, აგრეთვე ატომგულის იარაღის გამოცდის შეწყვეტისა და მისი გამოყენების აკრძალვის საკითხის უსწრაფესად გადაჭრისათვის.

მშვიდობიანი თანაარსებობის იდეა, ნათქვამია კომუნიკეში, ითვალისწინებს ეკონომიური, სავაჭრო, კულტურული და სხვა ურთიერთობის ყოველი ღონისძიებით გაფართოებას სხვადასხვა ქვეყნებს შორის განურჩევლად მათი საზოგადოებრივი წყობილებისა.

კომუნიკეში აღნიშნულია, რომ შეხვედრის მონაწილეებს სასარგებლოდ და საჭიროდ მიაჩნიათ წიგნების, გაზეთების, ჟურნალების, რადიოგადაცემებისა და სატელევიზიო გადაცემების, აგრეთვე ხელოვნების ნაწარმოებთა ფართო ურთიერთ-გაცვლა, რომლებიც ხელს უწყობენ ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობის განმტკიცებას.

კამბოჯა და ბირმა უარყოფენ

ნიუ-იორკი, 27 თებერვალი. (საქდესი). იუნაიტედ პრეს ინტერნეიშენლის სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება, რომ ბირმისა და კამბოჯის მიერ ლაოსის მეფის წინადადების უარყოფა „ვიენტიანში მიაჩნიათ ამ წინადადებისათვის სასიკვდილო ლახვრის ჩაცემად".

როგორც ცნობილია, ლაოსის მეფემ წამოაყენა წინადადება შეიქმნას კომისია კამბოჯის, ბირმისა და მალაიის შემადგენლობით ლაოსში არსებული მდგომარეობის გამოსაკვლევად.

მაგრამ ბირმის პრემიერ-მინისტრმა უ ნუმ პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ ბირმას არ შეუძლია დაეთანხმოს მეფის წინადადებას, რამდენადაც ეს მოასწავებდა, რომ იგი ცნობს ბუნ უმის მთავრობას („მთავრობა", რომელიც მეამბოხეთა დაჯგუფებამ შექმნა. — რედ. შენიშვნა).

კამბოჯის სახელმწიფოს მეთაურმა პრინცმა ნოროდომ სიანუკმა თავის წერილში ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ კენედისადმი აგრეთვე უარყო ლაოსის მეფის წინადადება და განაცხადა, რომ, მისი აზრით, მხოლოდ საერთაშორისო კონფერენციის მოწვევა შესაძლებელს გახდის მოწესრიგდეს ლაოსის მდგომარეობა.

კოლონიალისტები ცოფს ყრიან

პარიზი, 28 თებერვალი, (საქდესი). მიუხედავად იმისა, რომ პოლიციის ხელისუფლებმა აკრძალეს ულტრაკოლონიალისტთა თავყრილობა, მთელი რიგი რეაქციული კოლონიალისტური ორგანიზაციები შეეცადნენ 27 თებერვალს არეულობა გამოეწვიათ ტრიუმფულ თაღთან.

რამდენიმე ასეული კაცი, რომლებსაც აქეზებდნენ შფოთის ამტეხნი, შეეცადა გაერღვია პოლიციის კორდონი ყვირილით: „ბურგიბა და დე გოლი სამარცხვინო ბოძზე გავაკრათ!" „უნდა დაიხვრიტოს ბენ ბელა!" (ალჟირის რესპუბლიკის დროებითი მთავრობის მეთაურის მოადგილე, რომელიც საპატიმროში ზის საფრანგეთში — რედ.), „ალჟირი ფრანგულია"! „ომი საბოლოო გამარჯვებამდე!".

არის რამდენიმე ათეული დაჭრილი, უმთავრესად პოლიციელებს შორის, რომლებიც ცდილობდნენ დემონსტრანტების შეკავებას. პოლიცია აპატიმრებს დემონსტრაციის მონაწილეებს.

19 საათსა და 30 წუთზე ადგილობრივი დროით პოლიციამ და ჟანდარმერიამ შეძლეს გაეწმინდათ შფოთის ამტეხთაგან ტრიუმფული თაღის მისადგომები, და წესრიგი აღდგენილ იქნა. დამახასიათებელია, რომ პარიზელები, რომლებსაც ქუჩებში მოუსწრო ამ მანიფესტაციამ, გმობენ კოლონიზატორთა ამ გამოხდომას.

მათი ყვირილის პასუხად გამვლელთა ჯგუფიდან მოისმოდა შეძახილები: „მშვიდობა ალჟირში!", „ძირს ომი!".

პარიზის ჟურნალისტთა წრეებში აღნიშნავენ, რომ გუშინდელი გამოხდომით „ულტრამ" ვერ მიაღწია თავის მიზანს — საფრანგეთის საზოგადოებრიობა მხარს უჭერს ყოველ ინიციატივას, რომელსაც შეუძლია ხელი შეუწყოს ალჟირის პრობლემის მოწესრიგებას, და სურს, რომ ტუნისის პრეზიდენტის ბურგიბასა და საფრანგეთის პრეზიდენტის დე გოლის შეხვედრამ მოაახლოვოს მოლაპარაკება ალჟირში მშვიდობის აღდგენის შესახებ.



„რა უცნაურია! ზანგს რომ ერთი ტყვია ჰკრა კეფაში, ეს გამოხმაურებას იწვევს მთელ მსოფლიოში! წინათ ეს არასოდეს არ ყოფილა".
ნახატი ჰ. ბიდსტრუპისა. (გაზეთ „ლანდ ოგ ფოლკიდან").

იშვიათი შემთხვევა

ვლადიმირი, 27 თებერვალი. (საქდესი). ამ დღეებში სუდოგდის რაიონის ლენინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის ფერმაში ბევრი კოლმეურნე დადის. ყველას აინტერესებს ძროხა „რომაშკას" შთამომავლობა. მან სამი ხბო მოიგო ერთად: ორი საფური და ერთი მოზვერი. თვეზე მეტი გავიდა მას შემდეგ. ხბოები სწრაფად ვითარდებიან და კარგად არიან.

სამი ასეთივე ხბო გაჩნდა აგრეთვე მეჩორსკის კოლმეურნეობა „ბოლშევიკის" ფერმაში. ეს ხბოები მოიგო კოლმეურნე ვ. ს. ულიბინის ძროხამ მის პირად მეურნეობაში. ულიბინმა „სამტყუპი" კოლმეურნეობას გადასცა. ხბოები უკვე 25 დღისაა. ღონიერი არიან და კარგად ვითარდებიან.

სოფლის მეურნეობის საოლქო სამმართველოს უფროსის მოადგილემ მეცხოველეობის დარგში ნ. მ. მიშჩენკომ საქდესის კორესპონდენტს განუცხადა:

— ოლქის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ფერმებში ყოველ ას მოგებაზე ორი-სამი „ტყუპია". ისეთი შემთხვევა, რომ ძროხამ ერთად სამი ხბო მოიგოს, მეტად იშვიათია.

კომუნისტი სპორტი

საი[illegible] საჭადრაკო ჩემპიონატი

ლიდერი არ შეცვლილა

• • •

გუშინდელი მეცხრე ტურით ძირითადად ამოიწურა საქართველოს საჭადრაკო ჩემპიონატის ფინალის პირველი ნახევარი. მალე დაიწყება გადამწყვეტი ბრძოლები.

მაგრამ ჯერ ვერავინ შეაჩერა ოსტატ ი. გუფელდის წინსვლა, რომელსაც ნახევარი ქულაც კი არ დაუკარგავს. გუშინ იგი შავებით თამაშობდა თ. ლომაიას წინააღმდეგ. თეთრების პოზიცია თავიდანვე უარესი იყო. მალე ლიდერმა მოიგო ჯერ ერთი, შემდეგ მეორე პაიკი და ძლიერი იერიში განახორციელა მოწინააღმდეგის მეფის ფლანგზე. თ. ლომაიასათვის ბრძოლის გაგრძელება უიმედო იყო და დანებდა.

რთული პარტია მიიღო ოსტატობის კანდიდატმა თ. გიორგაძემ ლ. შტეინის წინააღმდეგ. შუა თამაშში თეთრებმა მეტოქეს ლაზიერი შესწირეს და ყაიმის შანსები ჰქონდათ, მაგრამ შემდეგ თ. გიორგაძემ დროს გადააცილა და ლ. შტეინს გამარჯვება ჩაეთვალა.

მოწვეულ მოჭადრაკეთა მესამე წარმომადგენელი გროსმაისტერი რ. ხოლმოვი შეხვდა ოსტატ ა. ბლაგიძეს. ბლაგიძემ თეთრებით შეძლო პაიკის მოგება, მაგრამ იგი გამარჯვებისათვის საკმარისი არ აღმოჩნდა, რადგან მეტოქეებს სხვადასხვა ფერის კუ ჰყავდათ. ა. ბლაგიძის წინადადებით მოწინააღმდეგენი ყაიმზე შეთანხმდნენ.

ოსტატი ბ. გურგენიძე შავებით წარმატებით იბრძოდა დ. ჯანოევის წინააღმდეგ. ეს იყო ამ ტურის ყველაზე საინტერესო შეხვედრა. ეტლების დაბოლოებაში ბ. გურგენიძემ გონებამახვილური სვლებით სძლია მეტოქეს და გათამაშების ცხრილში მორიგი ქულა ჩაიწერა,

რ. შეინცვიტმა დაამარცხა ჯ. ბერაძე, ი. ჩიქოვანმა — ა. გაგუა. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

9 ტურის შემდეგ ი. გუფელდს 9 ქულა აქვს,

ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირი

მოსკოვი, 27 თებერვალი, (საქდესი), ჩოგბურთში საერთაშორისო შეჯიბრების მეორე დღეს, რომელიც მიმდინარეობს „დინამოს" სტადიონის დახურულ კორტებზე, რენა აბაჯანიძემ (თბილისი) ანგარიშით 7:5 და 6:3 აჯობა ჰელა ვალეის (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა).

ვიაჩესლავ ეგოროვმა (მოსკოვი) მოუგო ნუგზარ მძინარიშვილს (თბილისი) სამივე პარტიაში (6:4, 6:3, 7:5).

ტალინელმა სტუდენტმა ტომას ლეიუსმა დაამარცხა თბილისელი ალექსი ვერულავა (6:3, 7:5, 6:2).

რამდენიმე ხნის შემდეგ ლეიუსი შარშანდელ მოსკოვის საზამთრო ტურნირში გამარჯვებულ თბილისელ სტუდენტ ირინე რიაზანოვასთან ერთად კვლავ გამოვიდა მოედანზე. მათი მოწინააღმდეგენი შერეულ წყვილთა თანრიგში იყვნენ ტურნირის ყველაზე ახალგაზრდა მონაწილე — 15 წლის კიეველი მოსწავლე გალინა ბაქშევა და მოსკოველი ბორის კოლობოვი. გაიმარჯვა პირველმა წყვილმა (3:6, 6:1, 6:1).

ფინალის წინ

მარტის ბოლო რიცხვებში მოსკოვში შედგება ჩვენი ქვეყნის პირველობის გათამაშების ფინალური შეხვედრები კრივში, რომელმაც უნდა გამოავლინოს ახალი ჩემპიონები.

ამ ასპარეზობას წინ უძღვის ზონალური შეხვედრები ფინალისტთა გამოსავლინებლად. ასეთი შეჯიბრება გაიმართა ბაქოსა და ვორონეჟში, სადაც სხვადასხვა რესპუბლიკების წარმომადგენლებთან ერთად გამოდიოდნენ საქართველოს მოკრივეები.

ვორონეჟის შეჯიბრებაში საქართველოდან ფინალში გავიდა 3 მოკრივე, ბაქოს ზონიდან — 2. ესენი არიან ვ. პოპანდოპულო, ვ. ქველიაშვილი, ქ. მანდალიანი, გ. ჩობანიანი და რ. აკოფოვი,

უცხოეთის სტადიონებზე

ბრაზილიაში მსოფლიო პირველობის გათამაშების შერჩევითი შეხვედრები ფეხბურთში ცენტრალურ და ჩრდილოეთ ამერიკის გუნდებს შორის. მორიგი ასპარეზობა გაიმართა მექსიკისა და კოსტა-რიკის ნაკრებ გუნდებს შორის. მატჩი ხასიათდებოდა მძაფრი ბრძოლით და დამთავრდა ფრედ 1:1.

ინგლისის ჩემპიონატში ერთ-ერთ ცენტრალურ ასპარეზობას ლიდერთა — „ტოტენჰემ ჰოტსპურისა" და „ვულვერჰემპტონ უონდერერსის" ფეხბურთელთა მატჩი წარმოადგენდა. ეს შეხვედრა შედგა ლონდონში და დამთავრდა ფრედ 1:1, „ტოტენჰემ ჰოტსპურს" 51 ქულა აქვს, მეორე ადგილზეა „ვულვერჰემპტონ უონდერერსი" (43 ქულა).

რამდენიმე სტრიქონით

შვეციის ქალაქის უმეოს მახლობლად დამთავრდა მსოფლიო პირველობის გათამაშება ზამთრის თანამედროვე ორჭიდში (20 კილომეტრის სათხილამურო გადარბენა სროლით). მონაწილეობდნენ სსრ კავშირის, ფინეთის, შვეციისა და სხვა ქვეყნების მოთხილამურეთა კოლექტივები. გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს ფინელებმა. სსრ კავშირის გუნდმა მეორე ადგილი დაიკავა. პირად ასპარეზობაში მსოფლიოს ჩემპიონის წოდება მოიპოვა ფინელმა კალევი ჰუსკონენმა. მეორე ადგილი და ვერცხლის მედალი ხვდა ჩვენი ქვეყნის წარმომადგენელს ალექსანდრე პრივალოვს.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქალაქ ობერსტდორფში გაიმართა მიმდინარე სასპორტო სეზონის ერთ-ერთი უდიდესი საერთაშორისო ასპარეზობა თხილამურებით ტრამპლინიდან ხტომაში ავსტრიის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, იუგოსლავიის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და სხვა ქვეყნების უძლიერეს მოთხილამურეთა მონაწილეობით. პირველი ადგილი ორი ნახტომის შედეგით დაიკავა ავსტრიელმა ოტო ლეოდოლტერმა, რომელმაც 231,5 ქულა შეაგროვა (129 და 134 მეტრი).

ფოტოჟურნალისტთა საქალაქო აქტივი

1 მარტს გაზეთ „ზარია ვოსტოკას" რედაქციის სხდომათა დარბაზში (რუსთაველის პროსპექტი 42, I სართული) საღამოს 8 საათზე მოწვეულია ფოტოჟურნალისტთა, ფოტომუშაკთა და ფოტომოყვარულთა საქალაქო აქტივი.

ანტუან გიზენგას ჯარები ათავისუფლებენ კონგოს

პარიზის ქუჩებში ბუნტს აწყობენ კოლონიალისტები

650 მილიონი ერთგული მეგობარი

პეკინი, 27 თებერვალი. (საქდესი). ბედნიერია ადამიანი, როცა იგი პოულობს მეგობარს, ხოლო ჩვენმა დელეგაციამ პეკინში, შანხაიში, გუანჯოუსა და სხვა ადგილებში შეიძინა ასობით პირადი მეგობარი. დარწმუნდა, რომ საბჭოთა ხალხს ჩინეთში ჰყავს 650 მილიონი ერთგული მეგობარი, თქვა პეკინიდან გაფრენის წინ საბჭოთა კავშირ-ჩინეთის მეგობრობის საზოგადოების დელეგაციის მეთაურმა ჟურნალ „კომუნისტის" მთავარმა რედაქტორმა თ. ვ. კონსტანტინოვმა.

დღეს საბჭოთა კავშირ-ჩინეთის მეგობრობის საზოგადოების დელეგაცია პეკინიდან სამშობლოში გაფრინდა. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში 20 დღის ყოფნის დროს დელეგაციას მრავალი მეგობრული შეხვედრა ჰქონდა მუშებთან, გლეხებთან, ინტელიგენციასთან ჩინეთის სხვადასხვა რაიონში. დელეგაცია მიიღეს და გულთბილად ესაუბრნენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარის მოადგილე, ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების ცენტრალური გამგეობის თავმჯდომარე სუ ცინ-ლინი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერი ჯოუ ენ-ლაი და სახალხო ჩინეთის სხვა ხელმძღვანელი მოღვაწეები.

კოლონიზატორთა სისხლიანი ხელით...

კაირო, 26 თებერვალი, (საქდესი). იმპერიალისტურმა ბელგიამ სისხლით გაისვარა ხელი, ავაზაკურად მოკლა რა პატრის ლუმუმბა და ჩაიდინა ბევრი სხვა დანაშაული კონგოელი ხალხის მიმართ, — წერს დღეს გაზეთი „ალ-აჰრამი" მოწინავე სტატიაში, კომენტარს უკეთებს რა ბელგიის მთავრობის გადაწყვეტილებას გაწყვიტოს დიპლომატიური ურთიერთობა არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკასთან.

გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მთელი კაცობრიობა გადაჭრით გმობს ბელგიელ კოლონიზატორთა დანაშაულებრივ მოქმედებას კონგოში.

„ალ-აჰრამი" იუწყება, რომ „მიღებულია გადაწყვეტილება 407 ბელგიელი მოქალაქის გასახლების შესახებ, რომლებიც ამჟამად ცხოვრობენ არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში. ბელგიის კაიროს საელჩოს რვა წევრს წინადადება მიეცა აგრეთვე დაუყოვნებლივ დატოვონ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა".

მეზღვაურის მამაცობა

ლონდონი, 27 თებერვალი. (საქდესი). წუხელ პრეს ასოშიეიშნის სააგენტომ გადმოსცა ლონდონს ქალაქ ედინბურგის პოლიციის ცნობა იმის შესახებ, რომ საბჭოთა გემ „სოხუმის" მეზღვაურმა გადაარჩინა ცხრა წლის ინგლისელი ბიჭი ჯეიმს დოილი, 12 წლის ჯეიმს დანკენი და ცამეტი წლის ჯონ ანდერსონი.

შიუხედავად იმისა, რომ შტორმი იყო, სამმა მეგობარმა გადაწყვიტა თვითნაკეთი ტივებით ეცურავნათ ფერტ-ოფ-ფორტის ყურის ნავსადგურში. მაგრამ ზვირთებმა აქანავეს ტივი, პატარა ჯეიმსმა თავი ველარ შეიკავა და წყალში ჩავარდა.

მეგობრების ცდა — გადაერჩინათ ჯეიმსი უშედეგო გამოდგა. სამივე წყალში აღმოჩნდა.

შორიახლო ღუზაზე იდგა „სოხუმი", რომლის გემბანზეც მეზღვაური იყო. მან დაინახა გაჭირვებაში მყოფი ბავშვები და დაუყოვნებლივ გადაუგდო საშველი რგოლი, მაგრამ ძლიერმა ქარმა შორს გაიტაცა რგოლი. მაშინ მეზღვაური დაუფიქრებლად გადახტა წყალში ტანსაცმლიანად და დაეხმარა არაქათგამოლეულ ბავშვებს გაჩერებულიყვნენ წყლის ზედაპირზე, სანამ „სოხუმიდან" ჩაშვებული კანჯო მიეშველებოდათ.

როგორც პოლიციის ცნობაში აღნიშნულია, საბჭოთა მეზღვაურმა, რომელმაც კეთილშობილური საქციელი ჩაიდინა, უარი თქვა დაესახელებინა თავისი გვარი, მაგრამ უფრო გვიან გამოირკვა, რომ ის იყო „სოხუმის" მზარეული ვლადიმერ კრავცოვი.

სულ ახალ და ახალ ფანდებს მიმართავს როდეზიაში პოლიცია — ინგლისელ კოლონიურ ხელისუფალთა რასისტული ტერორის მთავარი იარაღი. ამ სურათზე, რომელიც ამოღებულია ფრანგულ გაზეთ „ფიგაროდან", ვხედავთ პოლიციელთა პარადს ქალაქ ბულავაიოში, სადაც შარშან მოხდა ადგილობრივი მოსახლეობის სისხლისმღვრელი შეტაკებანი პოლიციასთან. თანამედროვე იარაღის — ცრემლსადენ გაზიანი გრანატების, რევოლვერების, ავტომატების გარდა პოლიცია შეიარაღდა რამდენადმე არაჩვეულებრივი „საჭურვლით" — ფარებით, რომლებითაც თავს იფარავს აფრიკელ პატრიოტთა ისრებისა და ქვებისაგან.

მდგომარეობა კონგოში

ნიუ-იორკი, 27 თებერვალი. (საქდესი). ანტუან გიზენგას კანონიერი მთავრობის ჯარები, რომლებმაც თოფის გაუსროლელად დაიკავეს კასაის პროვინციის მთავარი ქალაქი — ლულუაბურგი და პორტ-ფრანკი, კვლავ წარმატებით განაგრძობენ შეტევას.

როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეიშენლის სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება ლეოპოლდვილიდან, კანონიერი მთავრობის ჯარები შევიდნენ ქალაქ კიკვიტის გარეუბნებში, რომელიც ლეოპოლდვილის პროვინციის ტერიტორიაზე მდებარეობს. კანონიერი მთავრობის ჯარებს, როგორც კორესპონდენტი აღნიშნავს, „აბსოლუტურად არავითარ წინააღმდეგობას არ უწევენ. გარნიზონები, რომლებიც ლუმუმბას მოწინააღმდეგე ეგონათ, თოფის გაუსროლელად ნებდებიან და შემდეგ უერთდებიან მთავრობის ჯარებს".

პარიზი, 27 თებერვალი, (საქდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარები კონგოში, რომლებიც ხელს უწყობენ მობუტუსა და ჩომბეს ბანდების ავაზაკებს, ყოველნაირ დაბრკოლებებს უქმნიან გიზენგას კანონიერი მთავრობის ჯარების შემდგომ წინსვლას.

როგორც ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ლეოპოლდვილიდან იუწყება, „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სარდლობამ დღეს ანტუან გიზენგა გააფრთხილა შეწყვიტოს ჯარების შემდგომი წინსვლა და დაუყოვნებლივ მიიღოს ღონისძიებანი ამ ჯარების დასაბრუნებლად საწყის ბაზებზე აღმოსავლეთ პროვინციაში",

ნიუ-იორკი, 27 თებერვალი, (საქდესი), როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეიშენლის სააგენტოს კორესპონდენტი ლეოპოლდვილიდან იუწყება, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარებმა კონგოში თავიანთ „კონტროლს" დაუქვემდებარეს ქალაქ ლულუაბურგის აეროდრომი. ეს ქალაქი კანონიერი მთავრობის ჯარებს უკავიათ.

ლონდონი, 27 თებერვალი. (საქდესი). კანონიერი მთავრობის ჯარების შეტევამ პანიკა გამოიწვია დაქირავებულ მარიონეტთა და კონგოელი ხალხის მოღალატეთა ბანაკში.

როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება, მობუტუს შტაბის ოფიცრებს ლეოპოლდვილის ბანაკში საეჭვოდ მიაჩნიათ თავიანთი ძალებით შეაჩერონ „სტენლივილის ჯარების წინსვლა".

პარიზი, 27 თებერვალი. (საქდესი). როგორც ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება ლეოპოლდვილიდან, დღეს კასავუბუმ კატანგელ სეპარატისტთა მეთაურს ჩომბეს მიმართა მოწოდებით „გავერთიანდეთ საერთო მოწაკვდინებელი საფრთხის წინაშე",

აფრიკის სახელოვანი შვილის ხსოვნისათვის

ნიუ-იორკი, 26 თებერვალი. (საქდესი). მთელი დღის განმავლობაში ჰარლემის ცენტრში — ნიუ-იორკის ზანგთა გეტოში გუშინ ღია ცის ქვეშ მიმდინარეობდა საპროტესტო დემონსტრაცია კონგოელი ხალხის ხელმძღვანელის პატრის ლუმუმბას მკვლელობის წინააღმდეგ.

შეკრებილნი იდგნენ კოკისპირულ წვიმაში და უსმენდნენ ორატორებს, რომლებიც გამოთქვამდნენ დიდ მწუხარებას, აღშფოთებასა და პროტესტს პატრის ლუმუმბასა და მისი თანამებრძოლების საზიზღარი დახოცვის გამო. მთელ პასუხისმგებლობას ამ დანაშაულისათვის ისინი აკისრებენ ბელგიელ მკვლელებს — კოლონიზატორებსა და მათ მფარველებს, ორატორებმა დაგმეს ჰამარშელდის ბინძური როლი, რომელმაც უღალატა კონგოელ ხალხს, და მოითხოვეს თავისუფლება და დამოუკიდებლობა მიენიჭოს მთელ აფრიკას,

წიგნის სავაჭროს წინ ქუჩაში დადგმულ იმპროვიზებულ ტრიბუნაზე გამოვიდნენ შეერთებული შტატების დაახლოებით 15 აფრიკული ორგანიზაციის წარმომადგენლები. ამ წიგნის სავაჭროს უკანა ოთახში იატაკზე ყვავილებში ჩაფლული დადგმული იყო კუბო, რომელშიც იწვა ლუმუმბას გამოსახულების თიხის ფიგურა. მთელი დღის განმავლობაში წიგნის სავაჭროში კუბოსთან განუწყვეტელ ნაკადად მოდიოდნენ ადამიანები, რათა თავიანთი პატივისცემა გამოეხატათ კონგოს ეროვნული გმირისადმი,

ამინდი

2 და 3 მარტს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა უმეტესად უნალექოდ, სუსტი ქარი; ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით 3 გრადუსი ყინვა — 2 გრადუსი სითბო, დღისით 4-9 გრადუსი სითბო, მთიან რაიონებში ღამით 7-12, დღისით 0-5 გრადუსი ყინვა.

აღმოსავლეთ საქართველოში — მნიშვნელოვანი მოღრუბლულობა, ალაგ-ალაგ ნალექი და ნისლი, უმეტესად აღმოსავლეთ რაიონებში, სუსტი ქარი; ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით 3-8 გრადუსი ყინვა, დღისით 3 გრადუსი ყინვა — 2 გრადუსი სითბო, მთიან რაიონებში ღამით 10-15, დღისით 2-7 გრადუსი ყინვა.

გუშინ, 28 თებერვალს, თოვდა ბათუმში, ფოთში, ანასეულში, მესტიაში, სამტრედიაში, ქუთაისში და აღმოსავლეთ საქართველოს თითქმის ყველა რაიონში.

თოვლის საბურველი გუშინ ბათუმში აღწევდა 14 სანტიმეტრს, მესტიაში — 39, ხულოში — 55, ბაკურიანში — 14, ბორჯომში — 10, აბასთუმანში — 14, გორში — 4, გარდაბანში — 14, ბოლნისში — 25-49, წალკაში — 10, საგარეჯოში — 45, გურჯაანში — 31, ლაგოდეხში — 25, თელავში — 49, თიანეთში — 27 სანტიმეტრს. თბილისში გუშინ თითქმის განუწყვეტლივ თოვდა, თოვლის საბურველი დილის 9 საათისათვის 41 სანტიმეტრს აღწევდა.

რედაქტორი
დ. მედლიშვილი.

1 მარტი

თეატრები: ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის — მე-9 რესპუბლიკური ოლიმპიადა, **რუსთველის სახელობის**—ქარიშხალში, **მარჯანიშვილის სახელობის** — მე, ბებია, ილიკო და ილარიონი, **გრიბოედოვის სახელობის** — აფროდიტეს კუნძული, **სანკულტურის** — უხვი საღამო, **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — კაცი, რომელიც იცინის (აბონ. № 28., 4 ს.).

ტელევიზია: 18.00 — ყველაზე პატარებისათვის — „სახალისო ანბანი" (გადაცემა მეორე), 18.20 — გადაცემა მოსწავლეთათვის. მოკლემეტრაჟიანი ფილმი, 18.30 — „სკოლების დასახმარებლად" (უფროსკლასელთათვის), 18.55 — საუბარი — „თანამედროვე ეპოქის ხასიათის შესახებ", 19.05 — კინონარკვევი. 19.25 — გადაცემა ციკლიდან — „ქართული სცენის ოსტატები" — ალექსანდრა თოიძე, 20.00 — ჩინური მუსიკის კონცერტი, 20.20 — ახალი ამბები, 20.35 — სატელევიზიო ფილმი „გზა უკვდავებისაკენ".

ჩვენი მისამართი და ტელეფონები:
თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-72-80, ხამდივნოსი — 3-81-65, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და საბჭოთა მშენებლობის — 3-81-84, მარქსისტულ-ლენინური თეორიის, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 3-57-61, სოფლის მეურნეობის — 3-32-46, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, წერილების — 3-73-24, ინფორმაციის — 3-16-90, საილუსტრაციო — 3-20-43, მუშსოფლკორთა კაბინეტის — 3-08-67, განცხადებების მიღების — 3-64-42.

უე 00942 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14,